MyCoins

გენერალური ხელშეკრულება
მაიქოინსის მომსახურების პირობები

ვერსია 1.0

1. შესავალი

1.1. ვინაიდან **კლიენტს** აქვს სურვილი გახსნას **მაიქოინსის** მიერ ოპერირებად **პლატფორმაზე პირადი ანგარიში** (რომელიც ასევე და ამავდროულად წარმოადგენს **eMoney ანგარიშს**) და მიიღოს **მაიქოინსის მომსახურებები მხარეები** თანხმდებიან დადონ **ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც მოხდება **მაიქოინსის მომსახურებების კლიენტზე** შეთავაზება და მიწოდება. შესაბამისად, ზემოხსენებული **მომსახურებების** ხანგრძლივი მიწოდების მიზნით **ხელშეკრულება** რჩება ძალაში მანამდე სანამ არ მოხდება **მხარეთა** შორის სამართალურთიერთობის დასრულება. სამართალურთიერთობის დასასრულებლად **მხარეებმა** უნდა შეწყვიტონ **ხელშეკრულება** დამოუკიდებელი შეთანხმებით, წინამდებარე **პირობების** 21-ე მუხლით დადგენილი წესით;

1.2. წინამდებარე **პირობები** განსაზღვრავს **კლიენტის პირადი ანგარიშის** გახსნისა და **მომსახურებების** მიწოდების პირობებს;

1.3. **მაიქოინსსა** და **კლიენტს** შორის დადებული **ხელშეკრულება** შედგება **კლიენტის** მიერ ელექტრონულად დადასტურებული **თანხმობისგან**, როგორც ეს **პირობების** 2.7 პუნქტში არის განმარტებული, წინამდებარე **პირობებისგან**, და, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე **პირობების** ნებისმიერი დანართისგან ან/და განაცხად(ებ)ისგან (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში), რომელიც **მაიქოინსმა** შესაძლებელია ერთპიროვნულად დროდადრო დაამატოს ან/და შეცვალოს **კლიენტის** შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე, და ასევე **იმანის ძირითადი პირობებისგან**.

2. პირობებში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები

წინამდებარე **პირობებში** და მის დანართებში მოცემული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით **მხარეების** მიერ გაფორმებულ სხვა დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დოკუმენტის კონტექსტიდან აშკარად სხვა რამ არ გამომდინარეობს:

2.1. **ამონაწერი - კლიენტის პირად ანგარიშზე** ჩატარებული **ოპერაციების** ჩამონათვალი;

2.2. **ბანკი** ან **ლიბერთი ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი“, (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი კომპანია, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 203828304, იურიდიული მისამართი ჭავჭავაძის გამზ. #74, თბილისი 0162, საქართველო), რომლის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

2.3. **განაცხადი - მაიქოინსის** კუთვნილი წერილობითი ფორმა ან მის მიერ ნებისმიერ **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში** განთავსებული ფორმა, რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას **მაიქოინსის მომსახურებების** შესახებ და რომლის შევსება და დადასტურება წარმოადგენს **კლიენტის** მიერ **მომსახურებების** მიღებაზე, რომლის აუცილებელი წინაპირობაცაა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **ხელშეკრულების** დადება, წინამდებარე **პირობებზე თანხმობის** განცხადება წინამდებარე **პირობების** მიერ დადგენილი წესით;

2.4. **დავალება** - ნებისმიერი დავალება, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **მაიქოინსს** უშუალოდ და/ან **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით, **წვდომის კოდ(ებ)ის** საშუალებით **მაიქოინსთან** გამოგზავნის გზით, **პირობების** შესაბამისად;

2.5. **დისტანციური მომსახურება** - **მაიქოინსის მომსახურებების** ერთობლიობა, რომელთა მიღებაც **კლიენტს** შეუძლია **დისტანციური მომსახურების არხების** გამოყენებით;

2.6. **დისტანციური მომსახურების არხი - მაიქოინსის ვებ-გვერდი, მობილური აპლიკაცია** ან/და **მაიქოინსის** ნებისმიერი სხვა არხი, რომელთა გამოყენებითაც **კლიენტს** ეძლევა განსაზღვრული **მომსახურებების** მიღების საშუალება **მაიქოინსში** მოუსვლელად;

2.7. **თანხმობა - კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებაზე მაიქოინსის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით** ან **მაიქოინსის** სხვა ნებისმიერი არხის მეშვეობით **კლიენტის პირადი ანგარიშის** გახსნისას **კლიენტის** მობილურ ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი პაროლის ან **მაიქოინსის** მიერ მოთხოვნილი სხვა უნიკალური **წვდომის კოდის** მითითება (OTP), რითაც დასტურდება **კლიენტის** მიერ ამ **პირობების** გაცნობის, მათზე დათანხმების და **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერის ფაქტი;

2.8. **იმანი -** ერთობლივად შპს ”იმანი” (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი კომპანია, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 204557540, იურიდიული მისამართი ჭავჭავაძის გამზ. #74, თბილისი 0162, საქართველო) და სს „იმანი ჯორჯია” (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი კომპანია, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 202376026, იურიდიული მისამართი ჭავჭავაძის გამზ. #74, თბილისი 0162, საქართველო), რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ **პირადი ანგარიშის**, ანუ **eMoney ანგარიშის** პროვაიდერს, რომლთა მეშვეობითაც შესაძლებელია **მომსახურებების** მიწოდება **კლიენტისთვის მაიქოინსის** მიერ;;

2.9. **eMoney ანგარიში - მაიქოინსთან** გახსნილი ვირტუალური (ელექტრონული) საფულე, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებულ ელექტრონულ ანგარიშს და მისი მოხმარების წესი რეგულირდება **eMoney ანგარიშით სარგებლობის პირობებით;**

2.10. **eMoney ანგარიშით სარგებლობის პირობები** - www.emoney.ge-ზე [●] განთავსებული **eMoney ანგარიშის** მოხმარების პირობები, რომლებიც შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს **იმანის** მიერ და რომლებსაც **კლიენტი** ეთანხმება **ხელშეკრულების** გაფორმებით;

2.11. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

2.12. **კლიენტი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს **პირობებით** გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელიც ანიჭებს **მაიქოინსის** უპირობო უფლებას დაამუშავოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე **უნივერსალური იდენტიფიკატორები**), მიიღოს ისინი მესამე პირისგან და გადასცეს მესამე პირებს ამ **პირობების** 23-ე მუხლში დადგენილის ფარგლებში;

2.13. **მაიქოინსის ვებ-გვერდი** - **მაიქოინსის** ვებ-გვერდი www.mycoins.ge (**დისტანციური მომსახურების არხი**), რომლის საშუალებითაც **კლიენტს** აქვს შესაძლებლობა მიიღოს **მომსახურებები მაიქოინსისgan**, მათ შორის, შეავსოს **განაცხადი**, გაეცნოს **ხელშეკრულებას**, **პირობებს** და განახორციელოს **მაიქოინსის** მიერ ნებადართული სხვა მოქმედება;

2.14. **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრი** - **მაიქოინსის კლიენტთა** მომსახურების პუნქტი, რომელთან დაკავშირებაც **კლიენტებს** შეუძლიათ ტელეფონის საშუალებით ნომერზე +995 322 420 000 ან/და ელექტრონული წერილის გაგზავნით შემდეგ მისამართზე: support@mycoins.ge;

2.15. **მაიქოინსის პარტნიორი კომპანია** - ნებისმიერი კომპანია, რომელიც ჩართულია **მაიქოინსის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში** ან/და ახორციელებს **მაიქოინსთან** ერთად ერთობლივი **მომსახურებების** შეთავაზებას **კლიენტებზე**;

2.16. **მაიქოინსის პლატფორმა** - **მაიქოინსის** მიერ ოპერირებადი პლატფორმა, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **მაიქოინსის ვებ-გვერდსა** ან/და **მაიქოინსისთვის** ხელმისაწვდომ ყველა სხვა ალტერნატიულ არხს;

2.17. **მაიქოინსი** - შპს „ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ“, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და არსებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი 405225439, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #29, რომელიც **იმანისთან** გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ახორციელებს **მომსახურებ(ებ)ის** მიწოდებას **კლიენტებზე;**

2.18. **მომსახურებები** - **კლიენტის** მიერ **განაცხადით/დავალებით** მოთხოვნილი მომსახურებები, რომლებიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის პირადი ანგარიშის** გახსნასა და მომსახურებას, ვალუტებით და კრიპტოვალუტებით ვაჭრობას/კონვერტაციას და მათ მიღება/გაგზავნას, **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე ფინანსური კონსულტაციის გაწევას და **კლიენტის** გადაახდისუნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის შეფასებას, მათ შორის **ოპერაციები** და **დისტანციური მომსახურებები მაიქოინსისგან** ან/და სხვა **მაიქოინსის პარტნიორი კომპანიისგან**;

2.19. **მიმდინარე დავალიანება** - **კლიენტის** მიერ **მაიქოინსის** წინაშე შესასრულებელი ნებისმიერი ფულადი ან სხვა ტიპის ვალდებულება კონკრეტული დროის მონაკვეთში;

2.20. **მობილური აპლიკაცია** - **მაიქოინსის** ან/და მისი **პარტნიორი კომპანიის** მობილური აპლიკაცია (**დისტანციური მომსახურების არხი**), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია **კლიენტისთვის მომსახურებების** მიწოდება;

2.21. **მხარე** - **მაიქოინსი** ან **კლიენტი**;

2.22. **მხარეები** - **მაიქოინსი** და **კლიენტი** ერთობლივად;

2.23. **ოპერაცია** - **კლიენტის** მიერ განხორციელებული **პირად ანგარიშთან** ან/და **მომსახურებებთან** დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია, მათ შორის PIN-ის ან სხვა **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით;

2.24. **პირობები** - წინამდებარე პირობები, რომლებიც წარმოადგენენ **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

2.25. **პირადი ანგარიში** - იგივე **eMoney ანგარიში**, რომელიც **კლიენტს** ეხსნება **მაიქოინსის პლატფორმის** რომელიმე არხის საშუალებით რეგისტრაციისას;

2.26. **უნივერსალური იდენტიფიკატორები** - **მაიქოინსის** მიერ **კლიენტისათვის** მიწოდებული მონაცემების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც **კლიენტი** რეგისტრირდება **ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში** და რომელთა საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა ისარგებლოს **მაიქოინსის** რიგი **დისტანციური მომსახურებებით** ან/და **დისტანციური მომსახურების არხებით**;

2.27. "**PAY**" ან "**PAY ანგარიში**" - საბანკო ანგარიში (და მისი ნებისმიერი ქვეანგარიში), რომელიც დაკავშირებულია **ბანკის** მიერ გამოშვებულ ადგილობრივ, ან/და საერთაშორისო საბანკო ბარათთან. დეტალებისთვის იხილეთ www.smartivi.ge, www.libertybank.ge ან/და www.fortuna.emoney.ge;

2.28. **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურება** - **დისტანციურ მომსახურებებში** შემავალი **მომსახურებების/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** ის ნაწილი, რომელზე წვდომაც ხორციელდება ცენტრალიზებულად, **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** **კლიენტის** მიერ რეგისტრირებული **უნივერსალური იდენტიფიკატორების** გამოყენებით;

2.29. **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემა** - სისტემა, რომელშიც რეგისტრირდება **კლიენტის** ავტორიზაციის მეთოდი და **კლიენტის უნივერსალური იდენტიფიკატორები**, რომელთა გამოყენებითაც **კლიენტი** ისარგებლებს **მაიქოინსის** რიგი **დისტანციური მომსახურებებით** ან/და **დისტანციური მომსახურების არხებით**;

2.30. **წვდომის კოდ(ებ)ი** - კოდები, პაროლები, **კლიენტის** სახელი, საიდენტიფიკაციო კოდი, **უნივერსალური იდენტიფიკატორები** და/ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც **მაიქოინსმა** შესაძლოა მიაწოდოს **კლიენტს** სხვადასხვა **მომსახურებასთან** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **დისტანციური მომსახურებები**) უსაფრთხო წვდომისათვის;

2.31. **ხელშეკრულება** - **კლიენტსა** და **მაიქოინსს** შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულება, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოიცავს **თანხმობას**, ამ **პირობებსა** და მის დანართებს;

2.32. **ხელშეკრულების** "შეწყვეტაში" იგულისხმება **ხელშეკრულების** ჩვეულებრივ ვადის ამოწურვაც;

2.33. სიტყვები "მათ შორის", "მაგალითად" ან "როგორიცაა" არ ზღუდავს შესაბამისი სიტყვის მნიშვნელობას მხოლოდ აღნიშნული სიტყვების შემდეგ მითითებული სიტყვების მნიშვნელობით;

2.34. მხოლობითში გამოყენებული სიტყვა მოიცავს იმავე მნიშვნელობას მრავლობითშიც, და პირიქით.

3. მაიქოინსი ვალდებულია:

3.1. **კლიენტის** მიერ **მაიქოინსისთვის** წარდგენილი შესაბამისი **დავალების** საფუძველზე **პირადი ანგარიშიდან** შესაბამისი ოდენობის თანხა/კრიპტოვალუტა/ვალუტა დანიშნულებისამებრ გადარიცხოს აღნიშნული **დავალების მაიქოინსისთვის** წარდგენიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

3.2. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით**, ხოლო კანონმდებლობითა და **პირობებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში – **დავალების** გარეშეც, შესაბამისი თანხები ან/და **მიმდინარე დავალიანება კლიენტის** პირადი**ანგარიშიდან,** მათ შორის კრედიტორების ანგარიშ(ებ)ზე ჩასარიცხად;

3.3. მიიღოს **კლიენტისაგან** და მისცეს მას ან გასცეს მისი **დავალებით** ნაღდი ფული;

3.4. **კლიენტს** მოთხოვნისთანავე გადასცეს **პირადი ანგარიშის ამონაწერი მაიქოინსში** მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად. **ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, მასში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად.

4. მაიქოინსი უფლებამოსილია

4.1. თუ **ოპერაციის** განხორციელების მომენტში **ოპერაციის** საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ შეაჩეროს **ოპერაცია** ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;

4.2. **კლიენტის** მიერ **პირობების** დარღვევის შემთხვევაში დახუროს **პირადი ანგარიში**;

4.3. უაქცეპტოდ ჩამოწეროს **პირად ანგარიშ(ებ)ზე** შეცდომით ჩარიცხული თანხა და გადაახდევინოს **კლიენტს** პირგასამტეხლო აღნიშნული თანხის/მისი ნაწილის გამოყენებისათვის გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის თითოეული დღისათვის;

4.4 პირადი ანგარიშ(ებ)იდან მაიქოინსში მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტს ოპერაციების** წარმოებისათვის, **მიმდინარე დავალიანება**, ასევე **პირადი ანგარიშ(ებ)ის** მომსახურებისათვის, **მაიქოინსში** დადგენილი სააბონენტო საკომისიო მოსაკრებლები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **მაიქოინსს, კლიენიტს** დავალებით კრიპტოვალუტის ბლოკჩეინის ქსელის მეშვეობით უცხოურ სერვერებზე არსებულ ციფრულ მისამართზე გადარიცხვის შემთხვევაში, ბლოკჩეინ სისტემისათვის გადასახდელი ტრანზაქციის საკომისიო (შემდგომში „ბლოკჩეინის საკომისიო“, რომელიც განსაზღვეულია დანართი #1-ის მიხედვით) უაქცეპტოდ ჩამოაწეროს მისივე ანგარიშიდან და გადარიცხოს **მაიქოინსმა**. **კლიენტი** ასევე აცხადებს უპირობო თანხმობას მასზედ, რომ გადახდილი „ბლოკჩეინის საკომისიოს“ თანხიდან ნამეტი თანხა დარჩეს **მაიქოინსს**. იმ შემთხვევაში თუ „ბლოკჩეინის საკომისიო“ აღემატება დანართი 1-ით განსაზღვრულ საკომისიო ოდენობას, **მაიქოინსი** იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს დანართი 1-ით განსაზღვრული საკომისიოს „ბლოკჩეინის საკომისიომდე“ საკუთარი სახსრებით შევსება და გადარიცხვა. ამასთან ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად **კლიენტი** ცნობათ იღებს და წინამდებარე პირობებზე თანხმობით ადასტურებს, რომ დანართი 1-ით განსაზღვრული საკომისიოს გადახდის ვალდებულება გააჩნია თავად, ხოლო **მაიქოინსი** მოქმედებს მისი დავალების საფუძველზე.

4.4. **კლიენტის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დახუროს **კლიენტის** ის **პირადი ანგარიშ(ებ)ი**, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ განსაზღვრულ ყველა პირობას:

- 4.4.1. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში **პირად ანგარიშ(ებ)ზე** არ ფიქსირდება ბრუნვა;
- 4.4.2. **პირად ანგარიშ(ებ)ზე** არ არის ფულადი ან/და კრიპტოვალუტის ნაშთი და არ არის დაშვებული/წარმოშობილი არაავტორიზებული ოვერდრაფტი;
- 4.4.3. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **პირადი ანგარიშ(ებ)ის** მომსახურების საკომისიო;
- 4.4.4. **პირად ანგარიშ(ებ)თან** არ არის დაკავშირებული არცერთი სახის **მომსახურება** (ამ პუნქტით განსაზღვრული დებულება არ გავრცელდება ოვერდრაფტზე);

პირობების ამ პუნქტით განსაზღვრული **პირადი ანგარიშ(ებ)ის** დახურვის პირობები ვრცელდება ყველა სახის **პირად ანგარიშ(ებ)ზე**, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს **მაიქოინსსა** და **კლიენტს** შორის არსებული/მომავალში გასაფორმებელი ხელშეკრულება/დოკუმენტი, თუ აღნიშნულ ხელშეკრულებაში/დოკუმენტში არ არის კონკრეტული მითითება იმის თაობაზე, რომ ამ **პირობებით** დადგენილ **პირადი ანგარიშ(ებ)ის** დახურვის პირობებს უპირატესობა ენიჭება **პირობების** ამ პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან.

5. კლიენტი ვალდებულია:

5.1. შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენების შემთხვევაში დაუბრუნოს **მაიქოინსს** აღნიშნული თანხა და გადაუხადოს პირგასამტეხლო გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე;

5.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება წერილობით შეატყობინოს **მაიქოინსს** 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;

5.3. **მაიქოინსისთვის** წარდგენილი **პირობების** მე-7 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტსა ან/და ინფორმაციაში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ წერილობითი ფორმით შეატყობინოს **მაიქოინსს** აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში. **კლიენტის** მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში **მაიქოინსი** პასუხს არ აგებს ნებისმიერი სახით დამდგარ ზიანზე. აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება **მაიქოინსისთვის** წარდგენილ ყველა იმ დოკუმენტზეც, რომლითაც **კლიენტს** გაცემული აქვს მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება;

5.4. **მაიქოინსში** იმ დროისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს **ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე **პირადი ანგარიშის** მომსახურებისათვის **მაიქოინსში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

5.5. გადაუხადოს **მაიქოინსს პირად ანგარიშზე** არსებული ოვერდრაფტის (არაავტორიზებული ოვერდრაფტის) სრული თანხა;

5.6. გადაუხადოს **მაიქოინსს პირად ანგარიშზე** არსებული ოვერდრაფტით (არაავტორიზებული ოვერდრაფტით) სარგებლობის საკომისიო **მაიქოინსში** იმ დროისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

6. კლიენტი უფლებამოსილია:

6.1. ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს მეხუთე კალენდარული დღისა **მაიქოინსში** მიიღოს წინა თვის **ამონაწერი**;

6.2. წაუყენოს **მაიქოინსს** პრეტენზიები ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში;

7. განცხადებები და გარანტიები

7.1. **თანხმობით კლიენტი** ადასტურებს, რომ:

7.1.1. არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი 18 ან მეტი წლის;

7.1.2. გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზეწოლის, მუქარისა ან ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს **მაიქოინსის** ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს, **პირობების** დებულებათა არსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

7.1.3. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას) იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ **პირობებით** ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებებითა და განაცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

7.1.4. **პირობებში** გათვალისწინებული **ოპერაციის** შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებების პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც **კლიენტი** პასუხისმგებელია. ამ **პირობებით** განსაზღვრული **ოპერაციის** შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც **კლიენტი** წარმოადგენს;

7.1.5. მისი ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ნებადართულია **პირადი ანგარიშის** გახსნა და **მაიქოინსის მომსახურებების** მიღება;

7.1.6. არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებები **მაიქოინსის** ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ;

7.1.7. არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

7.1.8. არ გააჩნია უარყოფითი საკრედიტო ისტორია და არ არსებობს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც უარყოფითად აისახება მის გადახდისუნარიანობაზე;

7.1.9. გაეცნო **პირობებს** და ეს **პირობები** არის მისთვის მისაღები;

7.1.10. მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი;

7.1.11. **პირადი ანგარიშის გასახსნელად და მომსახურებების** მისაღებად უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

7.1.12. **ხელშეკრულების** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

7.1.13. **პირადი ანგარიშის** გახსნისას, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **პირობების** შესრულებას;

7.1.14. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი იურისდიქციის კანონმდებლობით (რაც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობას და იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი**) გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებას, იარაღით ვაჭრობას, ტერორიზმს ან სხვა სახის უკანონო საქმიანობას);

7.1.15. **პირადი ანგარიშის** გახსნისას და **ხელშეკრულების** მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

7.1.16. **პირადი ანგარიშის** გახსნისას და **ხელშეკრულების** მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.1.17. **პირადი ანგარიშის** გახსნისას და **ხელშეკრულების** მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ექნება ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე: ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად საკრედიტო სისტემაში;

7.1.18. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **მაიქოინსის** ან/და ნებისმიერი მესამე პირის/მხარის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **მაიქოინსისთვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული;

7.1.19. თუ **მაიქოინსი** სხვაგვარ თანხმობას არ გასცემს, **კლიენტი** ვალდებულია არ დაიკისროს რაიმე დამატებითი ვალები და/ან არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები, რითაც საფრთხე შეექმნება მის ქონებას, გადახდისუნარიანობას, და/ან მის მიერ წინამდებარე **პირობების** შესრულებას;

7.1.20. იგი კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს **პირობებით** ნაკისრ ვალდებულებებს;

7.2. **პირადი ანგარიშის** გახსნის შემდგომ, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე, **მაიქოინსი** უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს და გადასცეს **კლიენტის** მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია ან/და **უნივერსალური იდენტიფიკატორები** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **მაიქოინსის პარტნიორ კომპანიებს**, სს „კრედიტინფო საქართველოს“, საჯარო/სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მომსახურების სააგენტოს, პოლიციას, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს დაქვემდებარებულ ყველა უწყებას და ნებისმიერ სხვა მესამე პირს) ამ **პირობების** 23-ე მუხლის შესაბამისად, რაზეც **კლიენტი** წინასწარ აცხადებს უპირობო თანხმობას. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ მცდარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა გახდეს **მომსახურებების** გაწევაზე უარის თქმის საფუძველი და **კლიენტის** პირადი პასუხისმგებლობის (მათ შორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა);

7.3. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ **მაიქოინსთან** განხორციელებული სატელეფონო კავშირის დროს **მხარეთა** შორის საუბარი (გამავალი/შემომავალი ზარებისას), **მაიქოინსის პარტნიორი კომპანიების**, პარტნიორი ბანკების ბანკომატებში დაფიქსირებული და **მაიქოინსის** ან/და მისი **პარტნიორი კომპანიების** ფილიალებსა და სერვის ცენტრების კამერებით დაფიქსირებული **პირობებით** გათვალისწინებულ **მომსახურებებთან** დაკავშირებული ვიდეო/ფოტო მასალა იქნეს ჩაწერილი **მაიქოინსის** მიერ და გამოყენებულ იქნეს კანონით დადგენილ შემთხვევებში;

7.4. **კლიენტი** ეთანხმება წინამდებარე **პირობებს**, აცხადებს თანხმობას რომ, საჭიროებისა ან/და **მაიქოინსის** მიერ მოთხოვნის შემთხვევაში განავრცოს ან დაასრულოს თავისი რეგისტაცია **მაიქოინსის ვებ-გვერდზე** ან/და სხვა **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში მაიქოინსის პარტნიორ კომპანიებთან** რეგისტრაციის შემთხვევაში, და აცნობიერებს და უპირობო თანხმობას განაცხადებს მასზედ, რომ **მაიქოინსი**, წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **მომსახურებების** მიწოდების მიზნით, **მაიქოინსი** და **მაიქოინსის პარტნიორი კომპანიები** ერთმანეთს მიაწოდებენ **კლიენტის** შესახებ ინფორმაციას და დაამუშავებენ ასეთ ინფორმაციას ამ **პირობების** 23-ე მუხლის შესაბამისად;

7.5. **კლიენტის** აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

7.6. **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **მაიქოინსს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან ან/და გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **კლიენტის** აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და მასთან დაკავშირებული **პირობებითა** და სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

7.7. აღნიშნული განცხადებები არ არის დამოკიდებული არანაირ ინფორმაციაზე, რომლის შესახებაც **კლიენტს** აქვს ფაქტობრივი ან სხვაგვარი ცოდნა და ამგვარი არ შეზღუდავს არანაირ საჩივარს გარანტიებთან მიმართებით ან არ შეზღუდავს ამ **პირობებით** გათვალისწინებული თანხების ანაზღაურებას;

7.8. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა **ხელშეკრულების** მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას;

7.9. **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **მაიქოინსს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს **პირობებში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან;

7.10. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **მაიქოინსი ხელშეკრულებას** დებს ამ **პირობებში** მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ **ხელშეკრულების პირობებად**. შესაბამისად, **ხელშეკრულების** დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია **მაიქოინსის** მიერ **ხელშეკრულებით** და **პირობებით** გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი **მომსახურების** გაწევაზე ცალმხრივი უარის სათქმელად. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია **მაიქოინსის** მიერ მითითებულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს შეწყვეტიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა, დააბრუნოს **ხელშეკრულებისა** და **პირობების** ფარგლებში წარმოქმნილი გადასახდელები და სხვა ნებისმიერი თანხა **მიმდინარე დავალიანების** ჩათვლით.

7.11. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (არ იზღუდება **მაიქოინსის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **მაიქოინსს** აუნაზღაუროს და დაიცვას **მაიქოინსი** ნებისმიერი ზარალისგან (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **მაიქოინსი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

8. პირადი ანგარიშის დამატებითი პირობები

8.1. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **მაიქოინსს** მიიღოს და იმოქმედოს მისი **დავალებების** შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი** **მაიქოინსს** მიაწოდებს წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული საშუალებით ან **მაიქოინსისთვის** მისაღები სხვა ფორმით (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით). იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის დავალებები** წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, **კლიენტის** მიერ არ არის ხელმოწერილი, **მაიქოინსს** აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს იგი, თუ დაცულია **მაიქოინსში** დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა;

8.2. **კლიენტს** მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები **პირად ანგარიშზე**, სანამ:

- 8.2.1. **კლიენტი** ანაღდებს ფულს **მაიქოინსის** ნებისმიერი არხის გამოყენებით;
- 8.2.2. **კლიენტი** ახორციელებს ფულთან/ვალუტასთან/კრიპტოვალუტასთან დაკავშირებულ ნებისმიერი ტიპის **ოპერაციას**;
- 8.2.3. **კლიენტი** სთხოვს **მაიქოინსს** განახორციელოს **ოპერაცია** ელექტრონული საშუალებით, ტელეფონის მეშვეობით ან **მაიქოინსის** ნებისმიერი სხვა არხის გამოყენებით (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით);
- 8.2.4. ვადა უწევს ნებისმიერი სხვა **ოპერაციის** განხორციელებას, რომლის თანხებიც ჯერ არ არის **პირადი ანგარიშიდან** ჩამოჭრილი;

8.3. **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა **პირად ანგარიშზე** მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;

8.4. **პირადი ანგარიში**, **კლიენტის** არჩევანის შესაბამისად შესაძლებელია მოიცავდეს ქვეანგარიშებს/ანგარიშებს ლარში, აშშ დოლარში და ევროში ან/და სხვა ვალუტებში, რომლებსაც **მაიქოინსი** დროდადრო გახდის **კლიენტისთვის** ხელმისაწვდომს **იმანის** საშუალებით. **კლიენტი** უფლებამოსილია უფასოდ გახსნას ასეთი ქვეანგარიშები ერთ ან მეტ ვალუტაში (ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე);

8.5. **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს გარკვეული **მომსახურებები** მხოლოდ იმ ვალუტაში, რომელშიც დენომინირებულია შესაბამისი ქვეანგარიშები/ანგარიშები. თუ, შესაბამის ქვეანგარიშზე/ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი **კლიენტისთვის** სასურველი **ოპერაციის** განსახორციელებლად, **კლიენტი** უფლებამოსილია გააკეთოს მისი თანხების კონვერტაცია მისი სხვა ქვეანგარიშიდან/ანგარიშებიდან, რა შემთხვევაშიც გამოიყენება აღნიშნული კონვერტაციის პერიოდისთვის **მაიქოინსში** განსაზღვრული ვალუტის/კრიპტოვალუტის გადაცვლითი კურსი;

8.6. **კლიენტის პირად ანგარიშზე** არსებულ ფულად ან/და კრიპტოვალუტის ნაშთ(ებ)ზე **კლიენტს** არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი;

8.7. **კლიენტი** უფლებამოსილია გაანაღდოს თანხები მისი **პირადი ანგარიშიდან**, მაგრამ ამ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებული იქნება გაიაროს პიროვნების იდენტიფიცირების პროცესი. თანხის განაღდების შემთხვევაში, თანხის მინიმალური ოდენობის შეზღუდვა არ არსებობს, მაგრამ **კლიენტის პირად ანგარიშზე** რიცხული თანხები საკმარისი უნდა იყოს შესაბამისი განაღდების საკომისიოს დასაფარად. **კლიენტს** შეუძლია აირჩიოს თანხის განაღდების მეთოდი თანხის განაღდების მოთხოვნასთან ერთად;

8.8. **პირადი ანგარიში** არ წარმოადგენს საბანკო ანგარიშს. **მაიქოინსის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში, **კლიენტმა** შესაძლებელია დაკარგოს მის **პირად ანგარიშზე** არსებული ფული ან/და კრიპტოვალუტა, თუმცა, **მაიქოინსი** მკაცრად იცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს **კლიენტის** ფულის ან/და კრიპტოვალუტის **პირად ანგარიშზე** დეპონირებული თანხების უსაფრთხოება და ლიკვიდურობა;

8.9. **პირად ანგარიშზე** არსებული ფული ეკუთვნის იმ ფიზიკურ პირს, რომელიც **პირადი ანგარიშის** მფლობელად არის რეგისტრირებული. **პირადი ანგარიშის** მფლობელის გარდა, არავის აქვს **პირად ანგარიშზე** რიცხულ თანხებზე არანაირი უფლება, გარდა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით არსებული შემთხვევისა. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი გადააკისროს ან გადასცეს მისი **პირადი ანგარიში** სხვა მესამე პირს ან სხვაგვარად გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს ასეთ ანგარიშზე იურიდიული ან სამართლიანი მოთხოვნა (equitable interest);

8.10. **კლიენტის პირად ანგარიშზე** არსებული ნაჩვენები კრიპტოვალუტის ნაშთის შესაბამისი ოდენობა ეკუთვნის **მაიქოინსს** და ინახება: ა) **მაიქოინსის** საკუთრებაში არსებულ „ამაზონის“ ან/და მსგავსი მასშტაბის სანდო კომპანიების მიერ ადმინისტრირებად სერვერებზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში; ბ) **მაიქოინსის** საკუთრებაში არსებულ ე.წ. ცივ საცავებში (Cold Storage). ცივი საცავი არის ელექტრონული საფულე,

რომელსაც არ გააჩნია წვდომა ინტერნეტზე, რაც იცავს მას არაავტორიზებული წვდომისგან, კიბერ შეტევებისგან და სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზებისგან, რაც ინტერნეტთან ღია წვდომის მქონე სისტემებს შეიძლება გააჩნდეთ. მიუხედავად ამისა, ცივი საცავის უსაფრთხოების აბსოლუტური გარანტირება მაინც არ არის შესაძლებელი გ) საერთაშორისო კრიპტოვალუტების გადამცვლელებთან, მათ მიერ ადმინისტრირებად სერვერებზე. **მაიქოინსი** კრიპტოვალუტების გადამცვლელებს არჩევს მათი რეპუტაციის, სიდიდის, ხელსაყრელი კომერციული პირობების (რომელიც როგორც წესი უკეთესია მსხვილ კრიპტოვალუტების გადამცვლელებთან), რეგულატორული ხარისხის (სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია რეგულატორული გარემო, რომელშიც ოპერირებს კრიპტოვალუტის გადამცვლელი, მით უფრო დაცულია კრიპტოვალუტების გადამცვლელებთან არსებული კლიენტების სახსრები), ტექნიკურ-ტექნოლოგიური და უსაფრთხოების ხარისხის, კლიენტთა მომსახურების ხარისხის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს განხორციელებული ტრანზაქციების სისწრაფეს და მათ უსაფრთხოებას) და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის შეფასების საფუძველზე. მიუხედავად მაიქოინსის მცდელობებისა პარტნიორად შეარჩიოს უსაფრთხო და სანდო კრიპტოვალუტის გადამცვლელი, იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადად მსოფლიოში კრიპტოვალუტების გადამცვლელების საქმიანობა ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ რეგულირებული, ასევე შეზღუდულია წვდომა მათ საერთაშორისო სტანდარტებით აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ამგვარი კრიპტოვალუტების გადამცვლელები მომავალშიც იქნებიან ლიკვიდური და გადახდისუნარიანი ან/და მათი ტექნოლოგიური სისტემები გაუძლებს ჰაკერულ თავდასხმებს (რისი ალბათობაც სხვა თანაბარ პირობებში უფრო მაღალია მსხვილი კრიპტოვალუტების გადამცვლელების შემთხვევაში). ამგვარი მოულოდნელი შემთხვევის დროს, როგორიც არის ჰაკერული შეტევა კრიპტოვალუტების გადამცვლელებზე ან/და მათი სერვერების უსაფრთხოების სხვაგვარი დარღვევა, **მაიქოინსი** იხნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს მის კლიენტებს ასეთი შემთხვევის დადგომით. კლიენტს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს მის **მაიქოინსის პირად ანგარიშზე** ნაჩვენები კრიპტოვალუტის ნაშთის შესაბამისი ოდენობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვა და **მაიქოინსის** ვებ-გვერდზე არსებული კურს(ებ)ით ან/და მისი სხვა უცხოურ სერვერებზე არსებულ ციფრულ მისამართზე გადარიცხვა, ხოლო **მაიქოინსი** ვალდებულია კლიენტის ასეთი დავალებიდან გამომდინარე გადაურიცხოს კლიენტს **მაიქოინსის პირად ანგარიშზე** მფლობელობაში არსებული დავალების შესაბამისი კრიპტოვალუტა კლიენტის მიერ მოთხოვნილ უცხოურ სერვერებზე არსებულ ციფრულ მისამართზე ან გაყიდოს/დააკონვერტიროს კრიპტოვალუტა მაიქოინსის ვებ-გვერდზე არსებული კურს(ებ)ით კლიენტის დავალებაში მოთხოვნილ ვალუტაში და ჩაურიცხოს კლიენტს ამ კრიპტოვალუტის გაყიდვიდან/კონვერტაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები კლიენტის **eMoney** ანგარიშზე. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი იღებს თავის **მაიქოინსის პირად ანგარიშზე** კრიპტოვალუტას, ეს კრიპტოვალუტაც კლიენტის უპირობო თანხმობის საფუძველზე მომენტალურად გადადის **მაიქოინსის** საკუთრებაში ზემოთაღნიშნულ სერვერებზე ან/და კრიპტოვალუტების გადამცვლელების ადმინისტრირებად სერვერებზე ან/და ცივ საცავებში (Cold Storage) შენახვის მიზნით და რომლის ოდენობის შესაბამისი ნაშთიც კლიენტს გამოუჩნდება მის მაიქპინსის პირად ანგარიშზე, მანამ სანამ მაიქოინსი კლიენტისგან არ მიიღებს დავალებას გადარიცხვის ან გაყიდვის შესახებ;

8.11. **კლიენტის პირად ანგარიშზე** შესაძლებელია გავრცელდეს თანხების შეტანის და განაღდების ლიმიტები, **კლიენტის პირადი ანგარიშის** ვერიფიკაციის სტატუსის და მისი საცხოვრებელი მისამართიდან და ქვეყნიდან გამომდინარე;

8.12. ზოგიერთ შემთხვევაში **მაიქოინსმა** შეიძლება არ მიიღოს **პირად ანგარიშზე** შენატანი და შესაძლოა მოსთხოვოს **კლიენტს პირადი ანგარიშის** დახურვა.

9. პირადი ანგარიშის გახსნა

9.1. **მაიქოინსის მომსახურებებით** სარგებლობისთვის **კლიენტი** პირველ რიგში ვალდებულია **მაიქოინსის ვებ-გვერდზე** ან სხვა არხების გამოყენებით (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით) მისი პირადი მონაცემების რეგისტრაციის საფუძველზე გახსნას **პირადი ანგარიში**. რეგისტრაციის პროცესში **კლიენტი** ვალდებულია განაცხადოს **თანხმობა** წინამდებარე **პირობებზე** და **მაიქოინსის** კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების პირობებზე. **კლიენტი** ვალდებულია ამობეჭდოს და მომავალი სარგებლობისათვის შეინახოს წინამდებარე **პირობების** ასლი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **კლიენტის პირადი ანგარიში** შესაძლებელია გაიხსნას ასევე სხვადასხვა ელექტრონული ან/და ფიზიკური არხების საშუალებით, მათ შორის, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, **მაიქოინსის პარტნიორი კომპანიების არხებს**, პარტნიორი ბანკების/**ბანკის** ბანკომატებს, **მაიქოინსის** კონტრაქტორებს ან/და **მაქოინსის** მიერ **პირადი ანგარიშის** გახსნაზე უფლებამოსილ სხვა პირებს ან/და არხებს;

9.2. **კლიენტი** უფლებამოსილია გახსნას რამოდენიმე **პირადი ანგარიში**;

9.3. **კლიენტი** უფლებამოსილია გახსნას **პირადი ანგარიში** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნებადართულია **კლიენტის** ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით. **პირადი ანგარიშის** გახსნით, **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ **კლიენტის** მიერ **პირადი ანგარიშის** გახსნით **კლიენტი** არ არღვევს არანაირ კანონს ან რეგულაციას. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას **მაიქოინსის** ინტერესები და აუნაზღაუროს **მაიქოინსს** ყველა ზიანი, რომელიც მას მიადგა **კლიენტის** მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად;

9.4. **კლიენტის** მიერ რეგისტრაციის პროცესში და შემდგომ, ნებისმიერ დროს მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და შეესაბამებოდეს სიმართლეს;

9.5. რეგისტრაციის პროცესში **კლიენტი** ვალდებულია განსაზღვროს, როგორი სახის მიზნებისთვის გამოიყენებს **პირად ანგარიშს** - ინდივიდუალური თუ სამეწარმეო საქმიანობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** გეგმავს, რომ მისი **პირადი ანგარიში** გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანოს განსახორციელებლად, **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ **მაიქოინსს**. თუ, **კლიენტი** განაცხადებს, რომ მის **პირად ანგარიშს** გამოიყენებს მხოლოდ ინდივიდუალური მიზნებისთვის, ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი

გამოიყენოს იგი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. **კლიენტის** მიერ მისი **პირადი ანგარიშის** სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოყენებად ჩაითვლება **ოპერაციების** გაკეთება ნებისმიერი სახის ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით. **მაიქოინსი** იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს იყენებს თუ არა **კლიენტი პირად ანგარიშს** სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. **კლიენტი** ვალდებულია დაუკავშირდეს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**, იმ შემთხვევაში თუ დარწმუნებული არაა მისი საქმიანობა ითვლება თუ არა სამეწარმეო საქმიანობად.

10. პირადი ანგარიშით სარგებლობა

10.1. **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს მის **პირად ანგარიშზე** არსებული ინფორმაციის სიზუსტე და მისი განახლება. **მაიქოინსი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ არანაირ ზიანზე. **მაიქოინსი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს **კლიენტისგან** ინფორმაციის სისწორის დადასტურება ან დოკუმენტების ან სხვაგვარი მტკიცებულების წარმოდგენა;

10.2. ფულის/ვალუტის/კრიპტოვალუტის კონვერტაციის/ყიდვა/გაყიდვის, მიღების, გაგზავნის, განაღდებისდა შესაბამისი საკომისიოს შესახებ ინფორმაცია ასახულია ონლაინ **ამონაწერში**. თითოეულ **ოპერაციას** მინიჭებული აქვს **ოპერაციის** უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ **ამონაწერში**. **კლიენტი** ვალდებულია, კონკრეტულ **ოპერაციასთან** დაკავშირებით **მაიქოინსთან** კომუნიკაციის შემთხვევაში, აუცილებლად მიუთითოს აღნიშნული საიდენტიფიკაციო ნომერი. **კლიენტი** ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს მის **პირად ანგარიშზე** არსებული ნაშთი, **ამონაწერი** და დროულად შეატყობინოს **მაიქოინსის** ნებისმიერი უზუსტობის და შეუსაბამობის შესახებ ან ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მიმართოს კითხვით **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს.**

11. ზოგადი პირობები დისტანციური მომსახურების და დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის შესახებ

11.1. **დისტანციური მომსახურებებით** სარგებლობის უფლებას **კლიენტი** იძენს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** რეგისტრაციისთანავე. ამასთანავე:

- 11.1.1. **დისტანციური მომსახურებებით** სარგებლობის უფლება **კლიენტს** ენიჭება ავტომატურად **პირადი ანგარიშის** გახსნისთანავე და ამ უფლების გააქტიურება ხდება **წვდომის კოდის** გადაცემის გზით;
- 11.1.2. **დისტანციური მომსახურებებით** სარგებლობის უფლების გააქტიურება **კლიენტის** მიერ ხორციელდება **უნივერსალური იდენტიფიკატორების** გამოყენების გზით;

11.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **მაიქოინსზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს **დისტანციური მომსახურებით** სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს **დისტანციურ მომსახურებასთან** დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ მანამ, სანამ იგი ჩართულია ქსელში;

11.3. **კლიენტმა** არ უნდა გამოიყენოს **დისტანციური მომსახურება**, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი **პირადი ანგარიშის** გადახარჯვა **მაიქოინსის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება;

11.4. **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ **ოპერაციაზე**, რომელსაც იგი განახორციელებს **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით** აღნიშნული **მომსახურების** გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ;

11.5. **მაიქოინსი** მიმართავს ყველა ზომას, რათა **კლიენტი** უზრუნველყოს **დისტანციური მომსახურებით/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით**, მაგრამ **მაიქოინსი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული **მომსახურებით კლიენტის** უზრუნველყოფა **მაიქოინსისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება **მაიქოინსის** სისტემის ან **დისტანციური მომსახურების/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** შეფერხება სისტემის განახლებისა და გაუმჯობესების მიზეზით;

11.6. **კლიენტის** და/ან საკუთარი ინტერესების დასაცავად **მაიქოინსს** შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **დისტანციური მომსახურების/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** ან მისი ნაწილის გამოყენება. **მაიქოინსი** პირველი შესაძლებლობისთანავე გაუგზავნის **კლიენტს** შეტყობინებას აღნიშნულის თაობაზე. **მაიქოინსს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **დისტანციური მომსახურება/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი** ან მისი ნაწილი;

11.7. **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს კონკრეტული **დისტანციური მომსახურების** სააბონენტო საკომისიო;

11.8. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **მაიქოინსს** განახორციელოს ყველა ზეპირი ან ელექტრონული მითითება, რომელსაც **კლიენტი** გასცემს (ან ჩანს, რომ გასცა) **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** მეშვეობით;

11.9. **კლიენტი** თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს **მაიქოინსს კლიენტის** მიერ **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** მეშვეობით გაგზავნილი **დავალების (განაცხადის)** საფუძველზე უზრუნველყოს **კლიენტისათვის** დამატებითი **პირადი ანგარიშის** გახსნა **მაიქოინსში** დადგენილი პირობების შესაბამისად, თუ **კლიენტის** მიერ **მაიქოინსისთვის** მიმართვის მომენტისათვის **კლიენტს მაიქოინსში** უკვე გახსნილი აქვს **პირადი ანგარიში**;

11.10. **მაიქოინსის** მხრიდან არ ჩაითვლება **პირობების** დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული რაიმე ზარალზე, როდესაც:

- 11.10.1. **დისტანციური მომსახურების** (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია **მაიქოინსისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

11.10.2. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, **წვდომის კოდები**) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი არაავტორიზებული გამოყენება გამოწვეული იყო **მაიქოინსის** უხეში გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით ან განზრახი ბრალით;

11.10.3. **მაიქოინსი** ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მისი ციფრული ინფრასტრუქტურის ან/და სერვერების უსაფრთხოება და მისი კომერციულად და საოპერაციოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახება „ამაზონის" ან/და მსგავსი მასშტაბის სანდო კომპანიების მიერ ადმინისტრირებად სერვერებზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. აგრეთვე, **მაიქოინსის** განთავსებული აქვს კლიენტების ფულადი სახსრები საქართველოს წამყვან ბანკებში, რომლებსაც დანერგილი აქვთ განვითარებული და მოწინავე ინფორმაციული ტექნოლოგიები და დიდ და მზარდ ყურადრებას უთმობენ ტექნოლოგიურ უსაფრთხოებასა და კლიენტთა თანხების დაცულობას. აგრეთვე, **მაიქოინსი** კრიპტოვალუტის ნაშთების ნაწილს შესაძლოა ინახავდეს საერთაშორისო კრიპტოვალუტების გადამცვლელებთან, მათ მიერ ადმინისტრირებად სერვერებზე. **მაიქოინი** კრიპტოვალუტების გადამცვლელებს არჩევს მათი რეპუტაციის, სიდიდის, ხელსაყრელი კომერციული პირობების (რომელიც როგორც წესი უკეთესია მსხვილ კრიპტოვალუტების გადამცვლელებთან), რეგულატორული ხარისხის (სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია რეგულატორული გარემო, რომელშიც ოპერირებს კრიპტოვალუტის გადამცვლელი, მით უფრო დაცულია კრიპტოვალუტების გადამცვლელებთან არსებული კლიენტების სახსრები), ტექნიკურ-ტექნოლოგიური და უსაფრთხოების ხარისხის, კლიენტთა მომსახურების ხარისხის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს განხორციელებული ტრანზაქციების სისწრაფეს და მათ უსაფრთხოებას) და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის შეფასების საფუძველზე. მიუხედავად იმანის მცდელობებისა პარტნიორად შეარჩიოს უსაფრთხო და სანდო კრიპტოვალუტის გადამცვლელი, იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადად მსოფლიოში კრიპტოვალუტების გადამცვლელების საქმიანობა ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ რეგულირებული, ასევე შეზღუდულია წვდომა მათ საერთაშორისო სტანდარტებით აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ამგვარი კრიპტოვალუტების გადამცვლელები მომავალშიც იქნებიან ლიკვიდური და გადახდისუნარიანი ან/და მათი ტექნოლოგიური სისტემები გაუძლებს ჰაკერულ თავდასხმებს (რისი ალბათობაც სხვა თანაბარ პირობებში უფრო მაღალია მსხვილი კრიპტოვალუტების გადამცვლელების შემთხვევაში). აგრეთვე, **მაიქოინსი** კრიპტოვალუტის ნაშთების ნაწილს შესაძლოა ინახავდეს თავის საკუთრებაში არსებულ ცივ საცავებში (Cold Storage). თუმცა, ისეთი მოულოდნელი შემთხვევის დროს, როგორიც არის ჰაკერული შეტევა (მათ შორის ბანკებზე ან სასერვერო ინფრასტრუქტურის გამქირავებელ კომპანიებზე, რომლებთანაც თანამშრომლობს იმანი) ან საერთოაშორისო კრიპტოვალუტების გადამცვლელებზე, რომლებთანაც თანამშრომლობს **მაიქოინსი**) ან ცივ საცავებზე (Cold Storage) ან/და სერვერების უსაფრთხოების სხვაგვარი დარღვევა, **მაიქოინსი** იხნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს მის კლიენტებს ასეთი შემთხვევის დადგომით;

11.10.4. **მაიქოინსს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი **დავალებ(ებ)ი**;

11.10.5. **კლიენტმა მაიქოინსს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია;

11.10.6. **კლიენტსა** და **მაიქოინსს** შორის სატელეფონო ან ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე;

11.11. **მაიქოინსს** შეუძლია შეცვალოს მე-11 მუხლში აღწერილი პირობები, ასევე **პირობების** შესაბამის დანართებსა თუ პუნქტებში მოყვანილი დებულებები ნებისმიერ დროს იმისათვის, რომ შეუსაბამოს იგი საბაზრო პირობებს, **მაიქოინსში** დადგენილ ახალ წესებსა და შესაბამის კანონმდებლობას;

11.12. **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** სარგებლობისათვის საჭირო **უნივერსალური იდენტიფიკატორების** რეგისტრაცია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, ასევე მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება და აღდგენა, მობილური ტელეფონის ნომრის ჩანაცვლება, **კლიენტმა** შეიძლება განახორციელოს **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** ან სხვა არხების გამოყენებით;

12. პირადი ანგარიშის, დისტანციური მომსახურებებით და დისტანციური მომსახურებების არხ(ებ)ით სარგებლობის უსაფრთხოების დაცვა

12.1. **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვის უსაფრთხოდ შეინახოს მისი **პირადი ანგარიშის წვდომის კოდები** და არასდროს გაუმჟღავნოს ისინი მესამე პირებს. **მაიქოინსის** თანამშრომლები არასდროს მოთხოვენ **კლიენტს** მისი **წვდომის კოდების** სხვა მესამე პირისთვის წარდგენას. **კლიენტი** ვალდებულია აცნობოს **მაიქოინსს** მის მიერ მიღებული ნებისმიერი გზავნილის, ან ნებისმიერი ვებ-გვერდის შესახებ, გარდა **მაიქოინსის ვებ-გვერდისა**, **მაიქოინსთან** დაკავშირებული პირების (მათ შორის **მაიქოინსის პარტნიორი კომპანიების**) ვებ-გვერდებისა, რომელიც მოითხოვს **პირადი ანგარიშის წვდომის კოდების** გამოყენებას. **კლიენტი** ვალდებულია დაუკავშირდეს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**, თუ ეჭვი გაჩნდა რომ ზემოაღნიშნული რომელიმე ვებ-გვერდი არ არის ნამდვილი. **კლიენტი** ვალდებულია:

- **წვდომის კოდების** მიღებისთანავე დაიმახსოვროს და დაუყოვნებლივ გაანადგუროს ისინი;
- არასოდეს გაუმხილოს დეტალები **წვდომის კოდ(ებ)ის** შესახებ მესამე პირს (აღნიშნულ შემთხვევაში მესამე პირებად არ განიხილებიან **მაიქოინსის** ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ გადასცემენ **კლიენტს წვდომის კოდ(ებ)ს** ან **კლიენტის დავალების** საფუძველზე ახორციელებენ **წვდომის კოდ(ებ)ის** შეცვლას ან **წვდომის კოდ(ებ)ის** გააქტიურებას. ასევე ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც

მაიქოინსის თანამშრომლის დაშვება **წვდომის კოდ(ებ)თან** აუცილებელია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის ან/და შესაბამისი **მომსახურების** განხორციელებისათვის);

- არასოდეს ჩაწეროს **წვდომის კოდ(ებ)ი** ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელიც ავტომატურად ინახავს ინფორმაციას (მაგალითად, კომპიუტერის "პაროლის შენახვის" ფუნქცია ან ინტერნეტის სხვა მსგავსი ფუნქცია);
- არასოდეს დაწეროს **წვდომის კოდები** ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი ამოცნობა;
- არ დართოს ნება სხვა პირებს ისარგებლონ **კლიენტის პირადი ანგარიშით** ან დააკვირდნენ **კლიენტს** მის **პირად ანგარიშზე** შესვლის დროს;
- არ აირჩიოს ადვილად გამოსაცნობი პაროლი, რომელიც შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა პირის მიერ; ან
- არ აირჩიოს პაროლი, რომელსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა;

12.2. **კლიენტი** ვალდებულია შეცვალოს მისი პაროლი და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი რომ მის **პირად ანგარიშზე** შესასვლელი ინფორმაცია, პაროლი ან უსაფრთხოების სხვა **წვდომის კოდ(ებ)ი** ან საშუალებები იქნა მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული, უნებართვოდ გამოყენებული ან სხვაგვარად მითვისებული. **კლიენტის** მიერ **მაიქოინსის** ინფორმირების დაგვიანება არა მარტო ზეგავლენას მოახდენს **კლიენტის პირადი ანგარიშის** უსაფრთხოებაზე, არამედ გამოიწვევს **კლიენტის** პასუხისმგებლობას ნებისმიერ დანაკარგთან/ზარალთან დაკავშირებით. თუ **კლიენტს** ეჭვი აქვს, რომ მისი **პირადი ანგარიში კლიენტის** თანხმობის გარეშე გამოიყენა სხვა პირმა, **კლიენტი** ასევე ვალდებულია აცნობოს პოლიციას აღნიშნული ფაქტის შესახებ;

12.3. **მაიქოინსი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან სხვაგვარად შეზღუდოს **კლიენტის პირადი ანგარიშის** ფუნქციონირება, თუ **მაიქოინსს** ეჭვი გაუჩნდება, რომ **კლიენტის პირადი ანგარიში** გამოყენებულია სხვა პირის მიერ **კლიენტის** ნებართვის გარეშე ან იგი სხვაგვარად იქნა მითვისებული.

12.4. **კლიენტი** ასევე ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა და უზრუნველყოს, რომ **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის ანგარიშები არის დაცული და სარგებლობს მხოლოდ **კლიენტი**, რადგან მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პაროლის/**წვდომის კოდების** აღსადგენად ან **კლიენტის პირად ანგარიშთან** დაკავშირებული კომუნიკაციის განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის პირად ანგარიშთან** დაკავშირებული ელექტრონული ფოსტა იქნა უკანონოდ გამოყენებული, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს** და **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვის პროვაიდერს;

12.5. თუ **კლიენტი პირადი ანგარიშით** სარგებლობისათვის იყენებს საჯარო ან საერთო მოხმარების კომპიუტერს, **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ **კლიენტის პირად ანგარიშზე წვდომის კოდები** არ შეინახება ვებ ბრაუზერში ან ქეშში. თუ **კლიენტი** იყენებს პირად კომპიუტერს, ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მხოლოდ **კლიენტი** სარგებლობდეს აღნიშნული კომპიუტერით. **კლიენტი** ვალდებულია არასდროს გამოიყენოს კომპიუტერის ნებისმიერი ისეთი ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია **პირად ანგარიშზე წვდომის კოდების** კომპიუტერზე შენახვა და დამახსოვრება;

12.6. **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის და მისი **ოპერაციების** უსაფრთხოების დაცვის მიზნით, **მაიქოინსი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შექმნას **კლიენტის** იდენტიფიცირების დამატებითი ღონისძიებები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, მოითხოვოს სპეციალური მოწყობილობის, პროგრამის საშუალებით შექმნილი დამატებითი **წვდომის კოდ(ებ)ის** ან სხვა სახის ციფრული ან/და ელექტრონული **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენება, რომელიც **მაიქოინსის** მიერ არის მოწოდებული გარკვეული **ოპერაციების** შესასრულებლად;

12.7. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას **პირადი ანგარიშით** სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **უნივერსალურ იდენტიფიკატორებს**, **მაიქოინსის** მიერ მოწოდებულ ციფრული, პროგრამული ან სხვა სახის ციფრული თუ ელექტრონული წვდომის საშუალებებს ან აღნიშნულ საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა სახის **წვდომის კოდებს**;

12.8. გარკვეულ **მომსახურებებს**, რომელთა გამოყენების უფლებაც გააჩნია **კლიენტს**, შესაძლებელია ჰქონდეს უსაფრთხოების სხვა დამატებითი მოთხოვნები და **კლიენტი** ვალდებულია გაეცნოს ასეთ მოთხოვნებს;

12.9. როდესაც **კლიენტი** დაუკავშირდება **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**, მას შესაბამისი ოპერატორი მოსთხოვს **უნივერსალური იდენტიფიკატორების** დასახელებას;

12.10. **მაიქოინსის** ოპერატორი განახორციელებს **მაიქოინსში** დაწესებულ პროცედურებს, რათა მოახდინოს **კლიენტის** იდენტიფიცირება. **მაიქოინსი** ვერ შეძლებს მოემსახუროს **კლიენტს**, თუ მიიჩნევს, რომ **კლიენტის** იდენტიფიცირება შეუძლებელია;

12.11. **კლიენტის** მიერ **უნივერსალური იდენტიფიკატორების** ზედიზედ სამჯერ არასწორად გამოყენების შემთხვევაში **კლიენტი** ვეღარ შეძლებს გარკვეული **დისტანციური მომსახურებებით** სარგებლობას. ასეთი **დისტანციური მომსახურებით** შემდგომი სარგებლობისათვის **კლიენტი** უნდა მივიდეს **მაიქოინსის** ოფისში სამუშაო საათების განმავლობაში;

12.12. **მაიქოინსი** არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევებზე, როდესაც სატელეფონო საუბარი **კლიენტსა** და **მაიქოინსს** შორის კომპრომეტირებულია მესამე პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **მაიქოინსი** მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

12.13. **კლიენტის** მიერ სატელოფონო უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების შემთხვევაში **მაიქოინსი** უფლებამოსილია დაეყრდნოს **კლიენტის** ზეპირ **დავალებებს**. **მაიქოინსი** არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან მოახდინოს **კლიენტის** შემდგომი იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვერ შეედავება **მაიქოინსს** ასეთი პრეზუმფციის გამო. **კლიენტს** ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და

უნივერსალური იდენტიფიკატორების საიდუმლოდ შენახვაზე. **უნივერსალური იდენტიფიკატორებით** მესამე ან სხვა პირის მიერ სარგებლობა ჩაითვლება **უნივერსალური იდენტიფიკატორებით კლიენტის** მიერ სარგებლობად;

12.14. **კლიენტის** მიერ გარკვეული უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების შემთხვევაში **მაიქოინსი** უფლებამოსილია დაეყრდნოს **კლიენტის** ზეპირ **დავალებებს**. **მაიქოინსი** არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან მოახდინოს **კლიენტის** შემდგომი იდენტიფიკაცია ასეთ შემთხვევებში. **კლიენტი** ვერ შეედავება **მაიქოინსს** ასეთი პრეზუმფციის გამო. **კლიენტს** ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და **უნივერსალური იდენტიფიკატორების** საიდუმლოდ შენახვაზე. **უნივერსალური იდენტიფიკატორებით** მესამე ან სხვა პირის მიერ სარგებლობა ჩაითვლება **უნივერსალური იდენტიფიკატორებით კლიენტის** მიერ სარგებლობად;

12.15. **თანხმობით კლიენტი** მიმართავს და უფლებამოსილებას ანიჭებს **მაიქოინსს**:

12.15.1. დაეყრდნოს და იმოქმედოს ყველა **დავალების** შესაბამისად, რომელიც ავტორიზებული იქნა ან **მაიქოინსი** ჩათვლის, რომ ავტორიზებულია **კლიენტის** მიერ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი **დავალება** ეწინააღმდეგება ნებისმიერ დროს გაცემულ ნებისმიერ სხვა მანდატს **კლიენტის პირად ანგარიშებთან** ან მის საქმიანობასთან მიმართებით;

12.15.2. ჩამოჭრას **კლიენტის პირადი ანგარიშებიდან** ნებისმიერი თანხა, რომელიც **მაიქოინსმა** გადაიხადა ან გაიღო ნებისმიერი **დავალების** შესაბამისად, რაც მოიცავს ყველა **მომსახურების** ხარჯს **პირადი ანგარიშების** მართვასთან და **კლიენტის დავალების** შესაბამისად განხორციელებულ **ოპერაციასთან** დაკავშირებით;

12.16. **მაიქოინსი დავალებას** მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა მოხდა **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებისა** და **უნივერსალური იდენტიფიკატორების** გამოყენების მეშვეობით. **მაიქოინსი** უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, შეამოწმოს **დავალების** ნამდვილობა;

12.17. **კლიენტი** აღიარებს და თანახმაა, რათა **მაიქოინსმა** განახორციელოს **კლიენტის** მიერ მიწოდებული ნებისმიერი **დავალება**, რაც მოიცავს **პირად ანგარიშ(ებ)იდან** თანხის ჩამოჭრას, იმ შემთხვევაშიც, თუ **დავალების** ავტორიზაცია **კლიენტის** მიერ არ მომხდარა, ამასთანავე, არაავტორიზებულ **ოპერაციაზე** ან **დავალებაზე** პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება **კლიენტს**;

12.18. იმ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი **ოპერაციის** ან **დავალების** ღირებულება **მაიქოინსის** მიერ დაწესებულ ლიმიტებს აღემატება, **მაიქოინსი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დაუკავშირდეს **კლიენტს** და შეამოწმოს **ოპერაციის** ან **დავალების** ავტორიზაცია. **მაიქოინსი** ასევე უფლებამოსილია ასეთი **ოპერაციის** განხორციელება შეაჩეროს მანამ, სანამ არ შეამოწმებს მის ავტორიზაციას;

12.19. **მაიქოინსი** უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ **კლიენტის** ინტერესების დაცვის მიზნით შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურება კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ასე მაგალითად, თუ **მაიქოინსს** აქვს ეჭვი, რომ ირღვევა უსაფრთხოების ნორმები ან **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** შეჩერება მიზანშეწონილია სხვა მიზეზების გამო;

12.20. **მაიქოინსი** მიიღებს ზომებს, რათა **კლიენტს** შეატყობინოს **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** დროებით შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში ელექტრონული შეტყობინებების ან სხვა საშუალებით;

12.21. **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე **მაიქოინსი** მიიღებს ყველა ზომას, რათა დროულად შეაჩეროს ან გააუქმოს ნებისმიერი **დავალების** განხორციელება. ამასთანავე, **მაიქოინსს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გარდა შემთხვევისა, როდესაც **მაიქოინსი** არ მიმართავს შესაბამის ზომებს;

12.22. **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **მაიქოინსისთვის** ნებისმიერი **დავალების** სწორი და სრული მიწოდება, **მაიქოინსი** თავისუფლდება აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან;

12.23. **მაიქოინსი კლიენტს** აუნაზღაურებს ნებისმიერი ისეთი **დავალების** შედეგად განხორციელებული **ოპერაციის** თანხას, რომლის გაგზავნისას **უნივერსალური იდენტიფიკატორების** გამოყენება მოხდა **კლიენტის** ავტორიზაციის გარეშე, გარდა 12.24. პუნქტში მოყვანილი შემთხვევებისა. ამასთანავე, **მაიქოინსის** მიერ **კლიენტისათვის** აღნიშნული თანხის ანაზღაურების შედეგად **მაიქოინსს** აღარ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა **კლიენტის** წინაშე;

12.24. **კლიენტი** პასუხისმგებელია ნებისმიერ დაუდევარი ქმედებით გამოწვეულ ზარალზე (მოიცავს ნებისმიერი ისეთი **ოპერაციის** თანხას, რომელიც განხორციელდა **კლიენტის** ავტორიზაციის გარეშე), რითაც **კლიენტმა** ხელი შეუწყო არაავტორიზებული **ოპერაციის** განხორციელებას ან თაღლითურად იმოქმედა. დაუდევარი ქმედება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობებში** მოყვანილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევას;

12.25. მას შემდეგ, რაც **კლიენტი მაიქოინსს** შეატყობინებს **დისტანციური მომსახურებით/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით** სარგებლობის შედეგად განხორციელებული არაავტორიზებული **ოპერაციის** თაობაზე ან იმის შესახებ, რომ **წვდომის კოდ(ებ)ი** გახდა ცნობილი მესამე პირისათვის, ან **კლიენტს** გაუჩნდა ეჭვი აღნიშნულის თაობაზე, **კლიენტი** აღარ იქნება პასუხისმგებელი არაავტორიზებულ **დავალებაზე**, რომელიც განხორციელდება ასეთი შეტყობინების მიღებიდან საკმარისი დროის შემდეგ, რათა **მაიქოინსს** ჰქონდეს საკმარისი დრო **დისტანციური მომსახურების** შესაჩერებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც **მაიქოინსს** შეუძლია დაამტკიცოს, რომ **კლიენტი** მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

12.26. **მაიქოინსი** მიმართავს ყველა ზომას, რათა უზრუნველყოს **კლიენტისთვის ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე **მაიქოინსის** კომპიუტერულ სისტემაში არსებულ ინფორმაციასთან, ან იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ინფორმაცია მესამე მხარის მიერ არის მიწოდებული, აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტე – მესამე მხარის მიერ **მაიქოინსისთვის** მიწოდებულ ინფორმაციასთან. პროდუქტის რთული სახეობისა და **მაიქოინსის** კონტროლს მიღმა არსებულ გარემოებათა გამო **მაიქოინსი** არ იძლევა გარანტიას **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** მეშვეობით მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე. **დისტანციური მომსახურების/დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** მეშვეობით ხელმისაწვდომი ზოგიერთი ინფორმაციის უტყუარობასა და

სიზუსტეზე **მაიქოინსი** შესაძლოა იხსნიდეს პასუხისმგებლობას, რის შესახებაც მითითებული იქნება შესაბამის ვებ-გვერდზე. თუ **კლიენტი** ეყრდნობა ამგვარ ინფორმაციას, მან უნდა გაითვალისწინოს ამგვარი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება;

12.27. **მაიქოინსს კლიენტის** წინაშე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ:

12.27.1. სისტემა სათანადოდ არ მუშაობდა და **კლიენტმა ოპერაციის** დაწყებამდე იცოდა ან უნდა სცოდნოდა აღნიშნული სისტემური გაუმართაობის შესახებ;

12.27.2. **მაიქოინსის** კონტროლს მიღმა არსებული პირები ან ვითარება ხელს უშლის **ოპერაციის** განხორციელებას, **მაიქოინსის** მიერ მიღებული ზომების მიუხედავად;

12.27.3. **მაიქოინსს** არ მიუღია სრულყოფილი **დავალება** კონკრეტული **ოპერაციის** თაობაზე;

12.27.4. **ოპერაციის** განხორციელებისათვის საჭირო **პირად ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხები ან მათი ნაწილი დაბლოკილია;

12.27.5. **ოპერაცია** გადააჭარბებს **პირადი ანგარიშ(ებ)ის** ან **მაიქოინსის** მიერ დაწესებულ ლიმიტს;

12.27.6. თანხები ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვას;

12.27.7. **კლიენტი** არღვევს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებულ პირობებს;

12.27.8. **მაიქოინსმა** არ განახორციელა **ოპერაცია**, იმ შემთხვევაში, თუ აქვს ეჭვი თაღლითობის ან უკანონო ქმედების შესახებ;

12.28. **მაიქოინსის** ჩანაწერები წარმოადგენს **კლიენტის მაიქოინსთან** ურთიერთობის დამადასტურებელ საბუთს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩანაწერი აშკარად უზუსტოა. **კლიენტი** აღიარებს **მაიქოინსის** მიერ განხორციელებულ ჩანაწერებს, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ წარმოადგენს ორიგინალს;

12.29. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **მაიქოინსი** და **მაიქოინსის** ლოგო წარმოადგენს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს. **მაიქოინსი** ფლობს ყველა საავტორო უფლებას **მაიქოინსის ვებ-გვერდზე** და სხვა არხებზე (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი**), რომლის მეშვეობითაც **კლიენტი** სარგებლობს **დისტანციური მომსახურებებით**;

12.30. **კლიენტი** პასუხისმგებელია ნებისმიერ სატელეფონო ხარჯზე და/ან ნებისმიერ ისეთი სახის ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** სარგებლობისას ინტერნეტპროვაიდერის მოხმარებით. **მაიქოინსი კლიენტს** ჩამოაჭრის შესაბამის თანხას **კლიენტის დავალების** საფუძველზე განხორციელებული **ოპერაციისთვის** შესაბამისი **პირადი ანგარიშ(ებ)ის** ან სხვა **ოპერაციის** მარეგულირებელი პირობების შესაბამისად;

12.31. **ხელშეკრულების** გაფორმების დღისათვის **მაიქოინსს** განსაზღვრული აქვს კონკრეტული ტარიფები **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** სარგებლობისათვის, ამასთანავე, **მაიქოინსი** იტოვებს უფლებას მომავალში შეცვალოს ამგვარი ტარიფები ან დააწესოს ახალი ტარიფები შემდგომში დამატებული **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებისათვის**. **მაიქოინსი კლიენტს** შეატყობინებს ნებისმიერ ტარიფების ცვლილების/დაწესების შესახებ ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, **მაიქოინსის ვებ-გვერდის** ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ნებისმიერი **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურება** აღნიშნული ტარიფების ცვლილებამდე/დაწესებამდე. თუ **კლიენტი** გადაწყვეტს, გააგრძელოს **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** სარგებლობა ტარიფების ცვლილების/დაწესების შემდეგ, ამგვარად **კლიენტი** უფლებას აძლევს **მაიქოინსს** ჩამოაჭრას შესაბამისი სატარიფო თანხა ნებისმიერი **პირადი ანგარიშ(ებ)იდან**;

12.32. ვებ-გვერდი, რომლითაც **კლიენტი** უკავშირდება **დისტანციურ მომსახურებას**, შეიძლება შეიცვალოს. **მაიქოინსი** უფლებამოსილია განახორციელოს ამგვარი ცვლილებები **კლიენტისათვის** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **მხარეები** შეთანხმდნენ აღნიშნული ცვლილების შეტყობინების თაობაზე;

12.33. **მაიქოინსი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუგზავნოს უსაფრთხო შეტყობინება **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** შეტყობინებების სისტემის მეშვეობით. **იმანი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუგზავნოს შეტყობინება იმ **eMoney ანგარიშ(ებ)ის**, პროდუქტებისა და **მომსახურების** შესახებ, რომლებსაც **კლიენტი** იყენებს **იმანიში**, რაც მოიცავს **ცენტრალიზებულ დისტანციურ მომსახურებასთან** ან სხვა **იმანის** სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებს;

12.34. **კლიენტი** თანახმაა და აცხადებს, რომ მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა **კლიენტის** ინტერნეტპროვაიდერისა და/ან ნავიგატორის მეშვეობით **მაიქოინსის ვებ-გვერდთან** ან/და **დისტანციური მომსახურებების არხ(ებ)თან** დაკავშირებისას. **კლიენტის** შესაბამისი მოწყობილობების დამონტაჟება, შენახვა და ოპერირება, რაც მოიცავს **კლიენტის** კომპიუტერს, მოდემსა და პროგრამულ უზრუნველყოფას, ასევე ინტერნეტზე წვდომას მისი პროვაიდერის მეშვეობით, **კლიენტის** პასუხისმგებლობაა. **მაიქოინსი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მოწყობილობების ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით გამოწვეულ ნებისმიერ შეუსრულებლობაზე. **მაიქოინსი** აგრეთვე არ არის პასუხისმგებელი ვირუსსა ან სხვა მსგავს პრობლემაზე, რომელიც დაკავშირებულია **დისტანციურ მომსახურებასთან**. **მაიქოინსი** არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც გამოწვეულია **კლიენტის** პროგრამული უზრუნველყოფის ან მოწყობილობის **მაიქოინსის** სისტემასთან შეუსაბამობით. **მაიქოინსი** იტოვებს უფლებას შეცვალოს სისტემური მოწყობილობების მოთხოვნები. **მაიქოინსი კლიენტს** გაუგზავნის შეტყობინებას აღნიშნული სისტემური მოწყობილობების მოთხოვნების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, თუ ამგვარი ცვლილება ხელს შეუშლის ან შეუზღუდავს **კლიენტს დისტანციური მომსახურებით** სარგებლობას;

12.35. **მაიქოინსი** არ არის პასუხისმგებელი ზარალზე ან ზიანზე, რომელიც მიადგა **კლიენტის** მონაცემებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპიუტერს, ტელეკომუნიკაციებს ან სხვა მოწყობილობებს და რაც გამოწვეულია **კლიენტის** მიერ **დისტანციური მომსახურებით** სარგებლობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი ზარალის მიზეზი არის **მაიქოინსის** დაუდევრობა ან განზრახ ქმედება. **მაიქოინსი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე ელექტრონულ ვირუსზე ან ვირუსებზე, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს **კლიენტის** მოწყობილობებს. **მაიქოინსის** რეკომენდაციით **კლიენტისათვის** სასურველია რეგულარულად გაუკეთოს სკანირება თავის კომპიუტერს, დისკებსა და ინფორმაციის შესანახვის სხვა მოწყობილობებს სათანადო ანტივირუსის მეშვეობით, იმისათვის, რომ მოხდეს ვირუსის

აღმოჩენა და წაშლა. ვირუსმა შესაძლოა გაანადგუროს **კლიენტის** პროგრამები, ფაილები, ასევე **კლიენტის** კომპიუტერი. გარდა ამისა, **კლიენტმა** შესაძლოა უნებლიეთ გადაგზავნოს ვირუსი სხვა კომპიუტერებზე.

13. ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრირებული უნივერსალური იდენტიფიკატორებია:

13.1. მომხმარებლის სახელი – **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** მისაღებად, ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო, **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემის** მიერ ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრული ერთ-ერთი პარამეტრი, რომელიც უნიკალურია, ამასთანავე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს **კლიენტის** მიერ, **მაიქოინსის** შესაბამისი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით, **მაიქოინსის** მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად;

13.2. პაროლი – **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთი პარამეტრი, რომელიც **კლიენტს** გადაეცემა **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** რეგისტრაციისთანავე, **მაიქოინსის** მიერ შერჩეული **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** ან კომუნიკაციის სხვა არხის საშუალებით. პაროლი, რომელიც თავდაპირველად გადაეცემა **კლიენტს**, ექვემდებარება სავალდებულო ცვლილებას **კლიენტის** მიერ ცენტრალიზებული **დისტანციური მომსახურების** მისაღებად ნებისმიერი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** პირველივე გამოყენებისას. ამასთანავე, შესაბამისი **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** სარგებლობის პერიოდში **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **მაიქოინსში** დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს არსებული პაროლი შესაბამისი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით;

13.3. მობილური ტელეფონის ნომერი – ტელეფონის ნომერი, რომელზეც **კლიენტი** იღებს **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** განსაზღვრული **ოპერაციების** წარმოებისთვის საჭირო ერთჯერად **წვდომის კოდებსა** და ერთჯერად პაროლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ერთჯერად პაროლებს **კლიენტი** მიიღებს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერზე). ამასთანავე, შესაბამისი **დისტანციური მომსახურებით** სარგებლობის პერიოდში **კლიენტი** უფლებამოსილია, ხოლო **მაიქოინსის** მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, ნებისმიერ დროს **მაიქოინსში** დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს მობილური ტელეფონის ნომერი **მაიქოინსის** შესაბამისი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით;

13.4. **კლიენტის** პირადი ნომერი;

13.5. **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართი - ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც **კლიენტი** იღებს **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურებით** განსაზღვრული **ოპერაციების** წარმოებისთვის საჭირო **წვდომის კოდებსა** და პაროლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ერთჯერად პაროლებს **კლიენტი** მიიღებს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერზე). ამასთანავე, შესაბამისი **დისტანციური მომსახურებით** სარგებლობის პერიოდში **კლიენტი** უფლებამოსილია, ხოლო **მაიქოინსის** მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, ნებისმიერ დროს **მაიქოინსში** დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს ელექტრონული ფოსტის მისამართი **მაიქოინსის** შესაბამისი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** გამოყენებით;

13.6. **ცენტრალიზებული დისტანციური მომსახურების** მისაღებად **კლიენტს** შესაძლოა განესაზღვროს ავტორიზაციის განხორციელების ვალდებულება მარტივი (სახელისა და პაროლის გამოყენება) ან რთული (სახელის, პაროლისა და ერთჯერადი კოდის გამოყენება) ავტორიზაციის მეთოდით. ავტორიზაციის მეთოდი ყოველი შესაბამისი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის/მომსახურებებით** სარგებლობისათვის ასევე რეგისტრირდება **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**.

14. პირადი ანგარიშის დახურვა

14.1. თუ **მაიქოინსი** თვლის, რომ **კლიენტმა პირადი ანგარიში** უნდა დახუროს, **კლიენტს** გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეთხოვება **პირადი ანგარიშის** დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს **პირად ანგარიშს**, **მაიქოინსს** უფლება აქვს აღარ მიიღოს **ოპერაციები პირად ანგარიშზე** (ისეთი **ოპერაციების** გარდა, რომლებიც აუცილებელია **პირად ანგარიშზე** რიცხული **მიმდინარე დავალიანების** დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს პირად ანგარიშზე** რიცხული ნაშთი. **მაიქოინსს** ასევე შეუძლია **კლიენტის პირადი ანგარიშის** დახურვა ან მასზე **ოპერაციების** დაბლოკვა/შეჩერება, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** უარს აცხადებს დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე **მაიქოინსისთვის**, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან და მის აღკვეთასთან ან ნებისმიერ სხვა მიზნებთან. **პირადი ანგარიშის** დახურვა ან მასზე **ოპერაციების** დაბლოკვა/შეჩერება ასევე გამოიწვევს **eMoney ანგარიშის** დახურვას და მასზე ოპერაციების დაბლოკვას/შეჩერებას, რაზეც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას;

14.2. **კლიენტი** უფლებამოსილია დახუროს მისი **პირადი ანგარიში** ნებისმიერ დროს, მაგრამ **მიმდინარე დავალიანების დაფარვის** შემდგომ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **მაიქოინსთან** სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას ამ **პირობების** 21-ე მუხლის შესაბამისად;

14.3. დაუშვებელია **კლიენტის** ეროვნულ ვალუტაში არსებული უკანასკნელი **პირადი ანგარიშის** დახურვა მანამ, სანამ **კლიენტს მაიქოინსში** გახსნილი აქვს **პირადი ანგარიში** უცხოურ ვალუტაში;

14.4. **კლიენტის მაიქოინსში** არსებული ყველა **პირადი ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **მაიქოინსი** უფლებამოსილია **კლიენტს** გამოურთოს ყველა ტიპის **დისტანციური მომსახურება**;

14.5. **პირადი ანგარიშის** დახურვის მომენტში (**მიმდინარე დავალიანების** არქონის შემთხვევაში) მასზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში, **მაიქოინსი** საშუალებას იძლევა რომ **კლიენტმა** გამოიტანოს მისი კუთვნილი თანხები გონივრულ ვადაში, რა პერიოდშიც **კლიენტს** უფლება ექნება ისარგებლოს მისი **პირადი ანგარიშით** მხოლოდ **პირად ანგარიშზე** დარჩენილი ნაშთის გამოტანის მიზნით. წინამდებარე **პირობების** მე-12 მუხლში მითითებული **პირადი ანგარიშის** უსაფრთხოების დაცვის პირობები გააგრძელებს მოქმედებას **კლიენტის პირადი ანგარიშის** დახურვის მომენტში. **მაიქოინსი** უფლებამოსილია (მაგრამ არ არის ვალდებული) გაუგზავნოს **კლიენტს** აღნიშნული თანხა **კლიენტის პირად**

ანგარიშზე რეგისტრირებულ მისამართზე და დააკისროს **კლიენტს** შესაბამისი გამოტანის საკომისიოს გადახდა (უცხოური ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გათვალისწინებით). **კლიენტის** მისამართის განახლება წარმოადგენს **კლიენტის** ვალდებულებას და შესაბამისად **მაიქოინსი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ დანაკარგზე, რომელიც **კლიენტს** შესაძლებელია მიადგეს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით;

14.6. **კლიენტის** მიერ მისი **პირადი ანგარიშის** დახურვით **მაიქოინსთან** არსებული **კლიენტის** პირადი მონაცემები არ გაუქმდება და **მაიქოინსი** გავაგრძელებს ასეთი ინფორმაციის, მათ შორის **ამონაწერის**, შენახვას მინიმუმ ექვსი წლის ვადით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

15. პირადი ანგარიშის შევსება

15.1. **კლიენტს** შეუძლია მისი **პირადი ანგარიშის** შევსება ფულით (მათ შორის უცხოური ვალუტით) **eMoney ანგარიშის** შევსებით **eMoney ანგარიშით სარგებლობის პირობების** შესაბამისად.

15.2. **კლიენტს** შეუძლია მისი **პირადი ანგარიშის** შევსება კრიპტოვალუტით სხვა ნებისმიერი საფულიდან ჩარიცხვის გზით.

16. თანხის მიღება

16.1. **კლიენტს** შეუძლია მისი **პირადი ანგარიშის** საშუალებით ფულადი სახსრების მიღება (მათ შორის უცხოური ვალუტის) **eMoney ანგარიშის გამოყენებით eMoney ანგარიშით სარგებლობის პირობების** შესაბამისად.

16.2. **კლიენტს** შეუძლია მისი **პირადი ანგარიშის** საშუალებით კრიპტოვალუტის მიღება პირდაპირ მის **პირად ანგარიშზე**.

17. ავტომატური შევსების მომსახურება

17.1. **კლიენტს** შეუძლია მისი **პირადი ანგარიშის** ავტომატურად შევსება ფულადი სახსრებით (მათ შორის უცხოური ვალუტით) **eMoney ანგარიშის** ავტომატურად შევსებით **eMoney ანგარიშით სარგებლობის პირობების** შესაბამისად.

17.2.

18. აკრძალული ოპერაციები

18.1. მკაცრად აკრძალულია ისეთი **ოპერაციის** მოთხოვნის გაგზავნა ან მიღება, რომელიც განკუთვნილია შემდეგი სახის პროდუქციის შემენის ან გაყიდვისთვის:

- ნარკოტიკული საშუალებები ან მასთან დაკავშირებული ატრიბუტები;
- ცეცხლსასროლი იარაღი ან საბრძოლო მასალა;
- იარაღი და დანები;
- საკაბელო და სატელიტური ტელევიზიების სიგნალის ჩამხშობი მოწყობილობები;
- პორნოგრაფიული მასალა;
- მთავრობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და ლიცენზიები, ასევე რეპროდუქცია და ინოვაციის ნიმუშები;
- არალიცენზირებულ ლატარიასა და აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული მომსახურება;
- მრავალდონიანი მარკეტინგული, პირამიდის სტილის სავაჭრო ან Ponzi სქემები, მატრიცა პროგრამები ან სხვა სწრაფი გამდიდრების სქემები ან მაღალშემოსავლიანი საინვესტიციო პროგრამები;
- საქონელი ან მომსახურება, რომელიც არღვევს მესამე პირთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, რომელიც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ელექტრონული სახის გადმოსაწერი პროგრამებით არაკანონიერ სარგებლობას;

მაიქოინსი უფლებას იტოვებს, საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე **პირობებში** მოცემული **მომსახურებების**, ან **მაიქოინსის ვებ-გვერდზე** ან/და **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში** განთავსებულ მისაღებ **მომსახურებათა** შორის განთავსებით გაზარდოს ან შეამციროს აღნიშნული აკრძალული **ოპერაციების** კატეგორები;

18.2. მკაცრად აკრძალულია **ოპერაციის** განხორციელება ან მიღება იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისგან, რომელიც წარმოადგენს არალეგალური, აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული მომსახურების პროვაიდერს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს სპორტულ თამაშებზე უკანონოდ ფსონების მიღებას, პოკერს, და კაზინოს სხვა აზარტულ თამაშებს. **მაიქოინსი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს, ან შეწყვიტოს **კლიენტის პირადი ანგარიშის** მოქმედება, უარი თქვას **ოპერაციის** შესრულებაზე, ან უკან გამოითხოვოს განხორციელებული **ოპერაცია** იმ შემთხვევაში, თუ **მაიქოინსის** შინაგანი რწმენით **კლიენტი** პირდაპირ ან არაპირდაპირ იყენებს ან უკვე გამოიყენა მისი **პირადი ანგარიში** უკანონო აზარტულ თამაშობებში ან მასთან დაკავშირებულ მოქმედებებში **ოპერაციის** განსახორციელებლად. **მაიქოინსი** ასევე **უფლებამოსილია** ამის შესახებ შეატყობინოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. ქვეყნებს, სადაც ონლაინ აზარტული თამაშობები ითვლება უკანონოდ, მიეკუთვნებიან ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ჩინეთი, მალაიზია და ისრაელი. აღნიშნული სია არ არის ამომწურავი და პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ **მაიქოინსის მომსახურებები** არ იქნას გამოყენებული ისეთი **ოპერაციის** განსახორციელებლად, რომელიც შესაბამისი იურისდიქციის მიხედვით შესაძლოა მიჩნეულ იქნას უკანონოდ, ეკისრება **კლიენტს**;

18.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი გახსნას ან ისარგებლოს **პირადი ანგარიშით** იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ცხოვრობს ერთ-ერთ ქვემოთჩამოთვლილ ქვეყანაში: ავღანეთი, კუბა, ირანი, მიანმარი, ნიგერია, ჩრდილოეთ კორეა, სომალი, სუდანი, სირია ან იემენი. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **მაიქოინსს** უფლება აქვს ცალმხრივად ნებისმიერ დროს და წინასწარი შეტყობინების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება სხვა ქვეყნებში **მომსახურებების** შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ. **მაიქოინსი** უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კლიენტის პირადი ანგარიშის** მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმენა/ეჭვი, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელებას **მაიქოინსს** ავალდებულებს კანონი, მთავრობის ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული რეკომენდაცია, რომელიც მიზანად ისახავს ფინანსური დანაშაულის თავიდან აცილებას;

18.4. **კლიენტს** მკაცრად ეკრძალება მისი **პირადი ანგარიშის** გამოყენება ნებისმიერი უკანონო მიზნის მისაღწევად, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს თაღლითობასა და ფულის გათეთრებას. ნებისმიერი ქმედება, რომელსაც **მაიქოინსი** მიიჩნევს საეჭვოდ, მიმართული იქნება სამართალდამცავი ორგანოებისკენ. **კლიენტს** ეკრძალება მისი **პირადი ანგარიშის** გამოყენება ბოროტი განზარახვით, იმ მიზნით, რომ გვერდი აუაროს **პირადი ანგარიშის** მოხმარების წესებზე არსებულ შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია მერჩანტის მიერ მის მიერ მოწოდებულ მომსახურებაზე;

18.5. გარკვეულ ბიზნეს კატეგორიებთან დაკავშირებით, **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ოპერაცია** მხოლოდ **მაიქოინსის** მიერ გაცემული თანხმობის შემთხვევაში. აღნიშნული კატეგორია შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

- საქველმოქმედო ან არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი სახის შემოწირულობის ან გადახდების მიღება;
- თამბაქოს ნაწარმი;
- რეცეპტით გამოწერილი ნარკოტიკული საშუალებები;
- ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობა, როგორიცაა ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვები და მეტალები;
- ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა ან მიწოდება, ან
- სადიეტო დანამატების და ალტერნატიული ჯანდაცვის პროდუქტების გაყიდვა ან მიწოდება;
- **მაიქოინსის** მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა ბიზნეს კატეგორია;

იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** აქვს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა მისი საქმიანობა ერთ-ერთ ზემოთჩამოთვლილ კატეგორიას, **კლიენტი** ვალდებულია დაუკავშირედეს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**. **იმანის** უფლება აქვს აღნიშნულ ჩამონათვალს ცალმხრივად დაამატოს ბიზნეს კატეგორია წინამდებარე **პირობებში** ან **მაიქოინსის ვებ-გვერდზე** განთავსებულ მოხმარების **პირობებში** მისი განთავსების გზით;

18.6. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** განახორციელებს, ან შეეცდება განახორციელოს **ოპერაცია** მე-18 მუხლში მითითებული ამკრძალავი დებულებების დარღვევით, ან 18.5 პუნქტში გათვალისწინებული აუცილებელი თანხმობის გარეშე, **მაიქოინსი** უფლებას იტოვებს:

- უკან გამოითხოვოს განხორციელებული **ოპერაცია**, ან/და:
- დახუროს ან შეაჩეროს **კლიენტის პირადი ანგარიშის ოპერაცია**; ან/და
- აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს განხორციელებული **ოპერაციის** შესახებ; ან/და
- მოითხოვოს **კლიენტისგან** მიყენებული ზიანის ანაზღაურება; და
- დააკისროს **კლიენტს** ადმინისტრაციული პირგასამტეხლოს გადახდა 200 ლარამდე ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ **მაიქოინსი** განახორციელებს ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ღონისძიებას;

18.7. საქონლისა და მომსახურების გაყიდვის ან მიწოდების სანაცვლოდ **კლიენტის** მიერ განხორციელებული ან მიღებული **ოპერაციის** კანონთან შესაბამისობის დადგენა არის **კლიენტის** და არა **მაიქოინსის** პასუხისმგებლობა. უბრალო ფაქტი, რომ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა მიიღო **მაიქოინსის** საშუალებით განხორციელებული **ოპერაცია**, არ წარმოადგენს იმის მინიშნებას, რომ მათ მიერ მიწოდებული საქონელი ან მომსახურება არის კანონიერი. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** ეჭვი აქვს მიწოდების ან შესყიდვის კანონიერებაზე, **კლიენტი** ვალდებულია შეწყვიტოს **ოპერაციის** პროცესი.

19. თანხის განაღდება

19.1. **კლიენტს** შეუძლია მისი **პირადი ანგარიშიდან** ფულადი სახსრების (მათ შორის უცხოური ვალუტის) განაღდება **eMoney ანგარიშიდან** თანხის განაღდებით **eMoney ანგარიშით სარგებლობის პირობების** შესაბამისად.

19.2. კრიპტოვალუტის უშუალო განაღდება დაუშვებელია, თუმცა **კლიენტს** შუძლია გადარიცხოს მის **პირად ანგარიშზე** რიცხული კრიპტოვალუტა სხვა ნებისმიერ კრიპტოვალუტის ელექტრონულ მისამართზე. კრიპტოვალუტის გადარიცხვის საკომისიო მოცემულია პირობების დანართ 1-ში.

20. მხარეთა პასუხისმგებლობა

20.1. **მაიქოინსი** პასუხისმგებელია:

20.1.1. **კლიენტის** წინაშე **პირად ანგარიშზე ოპერაციების** წარმოების სისწორესა და დროულობაზე წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

20.1.2. **პირად ანგარიშზე** წარმოებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

20.2. **მაიქოინსი** არ აგებს პასუხს:

20.2.1. **მომსახურების** განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ასეთი დაყოვნება გამოწვეული იყო **მაიქოინსისგან** დამოუკიდებელი მიზეზით;

20.2.2. **მაიქოინსი** თავისუფლდება მატერიალური პასუხისმგებლობისგან, თუ მის მიერ ამ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებები ვერ განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის გამო (ელექტროკვების ან ქსელის დაზიანება/გათიშვა, საპროცესინგო ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საგადამხდელო სისტემის ტექნიკური ხარვეზი);

20.3. **კლიენტი** პასუხისმგებელია:

20.3.1. ჩატარებული ყველა არაკანონიერი **ოპერაციისათვის**;

20.3.2. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **მაიქოინსს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **კლიენტის** მიერ მოცემული **პირობების** დარღვევის გამო;

20.4. **პირობებით** განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა იწვევს **პირობებით** და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას;

20.5. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **პირობების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **პირობებით** დადგენილი წესით;

20.6. ამასთან, **კლიენტი** პასუხს აგებს **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით **მაიქოინსისთვის** მიყენებულ ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე (ზარალზე). ზიანის (ზარალის) ანაზღაურება **კლიენტს** არ ათავისუფლებს **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან);

20.7. **კლიენტი** ვალდებულია შეასრულოს **პირობებში** მოცემული ყველა პირობა და სრულიად აცნობიერებს **ოპერაციების** შეყოვნებასთან დაკავშირებულ შედეგებს;

20.8. **კლიენტი** პასუხს აგებს **მაიქოინსის** წინაშე **პირობებში** მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე, **მაიქოინსის ვებ-გვერდზე** ან **მაიქოინსის** ნებისმიერი სხვა არხის (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი**) გამოყენებით დარეგისტრირებისას მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე, ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან **მაიქოინსს** მიაწოდა **ხელშეკრულების** დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ;

20.9. ასევე, მოცემული **პირობების** ფარგლებში **მაიქოინსი** იტოვებს უფლებას **კლიენტის** შესახებ მესამე პირისთვის (მათ შორის სახელმწიფო უწყებებს: იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს დაქვემდებარებულ ყველა უწყებას, მაკონტროლებელ / საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, **მაიქოინსის** კონტრაქტორებს, მიმწოდებლებს, **მაიქოინსის პარტნიორ კომპანიებს, ბანკს** ან/და სხვა კომერციულ ბანკებს, სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტს, შპს „პრობლემური აქტივების ბიუროს“, შპს „ფინანსური ბიუროს“, შპს „მოთხოვნათა მართვის და სამართლებრივი უზრუნველყოფის ბიუროს“, და სხვა კომპანიებს) ინფორმაციის გადაცემის და მისგან ინფორმაციის მიღების შესახებ;

20.10. **მხარეები** თავისუფლდებიან **პირობებით** განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით;

20.11. ფორსმაჟორი არის მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი და უძლეველი ძალა, რომელიც დგება **მხარეთა** ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, მათ შორის მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად;

20.12. თუ ერთ-ერთი **მხარე** ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე **მხარეს** მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი **მხარე** არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

20.13. **მხარეთა** პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე;

20.14. **მაიქოინსი** უფლებამოსილია **პირობები** ჩათვალოს დარღვეულად, თუ:

20.14.1. **კლიენტი** დაარღვევს **პირობებით** გათვალისწინებულ ნებისმიერ განცხადებას ან/და გარანტიას ან/და **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი განცხადება ან/და გარანტია აღმოჩნდება არასწორი;

20.14.2. **კლიენტის** ქმედება მიმართულია **მაიქოინსის** მოტყუებისკენ ან აყენებს მას ზიანს;

20.14.3. **მაიქოინსი** დაადგენს, რომ საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის **კლიენტის** გადამხდელუნარიანობას;

20.14.4. **კლიენტზე** გაიხსნება საგაკოტრებო ან/და გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან წამოწყებულ იქნება სასამართლო/საარბიტრაჟო წარმოება მის მიმართ, რითაც საეჭვო გახდება **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

20.15. **კლიენტის** მიერ **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **მაიქოინსი** უფლებამოსილია გაუგზავნოს **კლიენტს** გაფრთხილების წერილი. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მაიქოინსი** უფლებამოსილია გაფრთხილების წერილის გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები სრულად აანაზღაურებინოს **კლიენტს;**

20.16. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ **მაიქოინსის ვებ-გვერდით** ან **მაიქოინსის** სხვა ელექტრონული არხებით (მათ შორის სხვა **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი**) და **მომსახურებებით** სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის

გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე;

20.17. **მაიქოინსი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია **კლიენტის** ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული **ოპერაციებით**;

20.18. წინამდებარე **პირობებზე თანხმობით**, **კლიენტი** აცხადებს ცალსახა და უპირობო თანხმობას, ნებისმიერ დროს, **მაიქოინსის** მიერ შემდგომი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერი მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისთვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერ სახის სარეკლამო კამპანიას ან/და პრომო აქციას) **მაიქოინსისგან, მაიქოინსის პარტნიორი კომპანიებისგან** ან/და სხვა პირებისგან მიიღოს ცნობა, წერილი, მოკლე ტექსტური ან ნებისმიერი სხვა შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია **მაიქოინსისტვის კლიენტის** მიერ მოწოდებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, ზემოთაღნიშნული რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილ რეკვიზიტებთან მიმართებაში **მაიქოინსი** უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება **კლიენტისთვის** ყოველგვარი შემდგომი **თანხმობის**/თანხმობის გარეშე;

20.19. **მაიქოინსი** უფლებამოსილია, რომ **კლიენტისთვის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს პრომო კამპანიები, გათამაშებები და აქციები, **მომსახურებების** პირობებზე თუ ტარიფებზე **კლიენტისთვის** დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შეღავათიანი პირობების დაწესებით ან/და სარგებლის მიღების შესაძლებლობით. ასეთ შემთხვევაში **მაიქოინსი** უფლებამოსილია ცალმხრივად დააწესოს და განსაზღვროს ნებისმიერი და ყველა წესი ან/და პირობა რაც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების ორგანიზებასთან, ჩატარებასთან და პროცესთან, რაც ავტომატურად წარმოადგენს წინამდებარე **პირობების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილს, ასევე დამოუკიდებლად განსაზღვროს ასეთი პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების გამარჯვებულის გამოვლენის წესი და პირობები, დამოუკიდებლად განსაზღვროს პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების შედეგად გამარჯვებულზე მოგების გაცემის საკითხი და არ გასცეს პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციების პირობებით გათვალისწინებული მოგება ან/და სარგებელი ან/და არ დააწესოს ასეთი შეღავათი **კლიენტის** მიერ ზემოთაღნიშნული პრომო კამპანიების, გათამაშებების და აქციებისათვის **მაიქოინსის** მიერ დადგენილი წესების და პირობების ბოროტად, არამიზნობრივად, მიზნების საწინააღმდეგოდ გამოყენების შემთხვევაში. **კლიენტის** მიერ ასეთი აქციების დროს **მომსახურებებით** სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების წესებზე და პირობებზე;

20.20. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **მაიქოინსს** ნებისმიერი ზიანისგან, სასამართლო ხარჯისგან, მესამე მხარის მიერ წამოწყებული საჩივრისგან, ნებისმიერი სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და ადმინისტრაციული საქმისწარმოებისაგან;

20.21. გარდა ზემოაღნიშნულისა, **კლიენტის** მიმართ არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით **მაიქოინსი** უფლებამოსილია შეუზღუდავად (მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებამდე), **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე, უზრუნველყოს თანხების მოზიდვა/მიღება **კლიენტის** საბანკო ანგარიშიდან, რაზეც **კლიენტი** წინასწარვე, **პირობებზე თანხმობით**, აცხადებს თანხმობას. ამდენად, **მაიქოინსის** მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებული იქნება **კლიენტის** საბანკო ანგარიშიდან **მაიქოინსის** მოთხოვნილი ოდენობით უზრუნველყოს თანხის **მაიქოინსის** საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა, რაც ჩაითვლება **კლიენტის მაიქოინსის** მიმართ **მიმდინარე დავალიანების** ანგარიშში, გადარიცხული თანხის ოდენობით;

20.22. არაავტორიზებული **ოპერაციის**, ან **მაიქოინსის** შეცდომის გამო არარასწორი **ოპერაციის** შემთხვევაში, **მაიქოინსი** მზად არის **კლიენტის** მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს **კლიენტს** არასწორად განხორციელებული **ოპერაციის** ღირებულება ჩამოჭრილი საკომისიოების ჩათვლით. აღნიშნული პირობა არ მოქმედებს:

20.22.1. როდესაც არაავტორიზებული **ოპერაცია** მოხდა **კლიენტის** მიერ **პირადი ანგარიშის** დეტალების უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების დარღვევის შედეგად, როგორც ეს მე-12 მუხლშია აღწერილი. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა პირველი 10,000 (ან შესაბამისი თანხა **კლიენტის პირადი ანგარიშის** ვალუტაში) ლარისთვის დაეკისრება **კლიენტს**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოქმედებს **პირობების** 20.22.3 პუნქტი;

20.22.2. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ უზრუნველყოფს, დროულად შეატყობინოს **მაიქოინსის** პაროლის (**წვდომის კოდის**) დაკარგვის ან ნებისმიერი სხვა მოვლენის შესახებ, რომელსაც შესაძლებელია გავლენა მოეხდინა **კლიენტის პირადი ანგარიშის** უსაფრთხოებაზე მას შემდეგ რაც **კლიენტი** შეიტყობს აღნიშნული ფაქტის დადგომის შესახებ, რა შემთხვევაშიც შეტყობინების მომენტამდე დამდგარ ზარალზე პასუხისმგებლობა დაეკისრება **კლიენტს**;

20.22.3. იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელდა არაავტორიზებული **ოპერაცია კლიენტის** მიერ **პირადი ანგარიშის** უსაფრთხოების დეტალების განზრახ ან გაუფრთხილებლობის საფუძველზე გაცემის შედეგად, რა შემთხვევაშიც ყველანაირ ზარალზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ **კლიენტს**; ან როდესაც **კლიენტი** არ უზრუნველყოფს სადავოდ გახადოს და შეატყობინოთ **მაიქოინსის** არასწორი ან არაავტორიზებული **ოპერაციის** შესახებ მისი განხორციელებიდან 1 თვის განმავლობაში;

20.23. ზემოაღნიშნული დებულებების შინაარსის გათვალისწინებით, **კლიენტი** ვალდებულია მის **პირად ანგარიშზე** რეგულარულად განახორციელოს **ამონაწერის** შემოწმება და რაიმე შეკითხვის ან ეჭვის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**;

20.24. ნებისმიერი მცდარი ან არასწორად მიმართული **ოპერაციის** განხორციელების შემთხვევაში, **მაიქოინსი კლიენტის** დასახმარებლად მიიღებს გონივრულ ზომებს, რათა გამოკვლეულ იქნეს **ოპერაციის** დეტალები და **ოპერაციის** შესაბამისი თანხა უკან დაუბრუნდეს **კლიენტს**;

20.25. ზემოაღნიშნული დებულებების შინაარსის გათვალისწინებით, **მაიქოინსი** არ იღებს პასუხისმგებლობას მისი ან იმ შუამავალი პირის **მომსახურების** ხარვეზებზე ან დაზიანებებზე, რომელსაც **მაიქოინსი** ეყრდნობა თავისი ვალდებულებების შესრულებისას, იმ პირობით, რომ

აღნიშნული ხარვეზი ან დაზიანება გამოწვეულია **მაიქოინსის** ან შესაბამისი შუამავალი პირის კონტროლს მიღმა მყოფი გაუთვალისწინებელი გარემოებებით;

20.26. **მაიქოინსი** არ იღებს პასუხისმგებლობას არაპირდაპირ ან შედეგობრივ ზიანზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ შემოსავალს, ბიზნესის დანაკარგს და რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანს. **მაიქოინსი** ასევე პასუხს არ აგებს არანაირ დანაკლისზე, რომელიც გამომდინარეობს მის მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებული ქმედებებიდან;

20.27. წინამდებარე **პირობების** არცერთი დებულება არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას თაღლითური ქმედების ან თაღლითური ინტერპრეტაციისთვის, ასევე კანონიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას, რომელიც არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიცვალოს **მხარეთა** შეთანხმებით;

20.28. წინამდებარე **პირობების** მიხედვით, **მაიქოინსის** მოვალეობა გამოიხატება **კლიენტის მომსახურებებით** უზრუნველყოფაში. **მაიქოინსი** არ ახორციელებს განცხადებას და არ ადასტურებს მისი ნებისმიერი პარტნიორი კომპანიის ან **კლიენტის** მიერ მოწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხს, უსაფრთხოებასა და კანონიერებას;

20.29. **მაიქოინსი** არ იღებს პასუხისმგებლობას არანაირი **ოპერაციის**, ვალდებულების, ან გადასახდელის განსაზღვრასა და გადახდაზე, რომელიც გამომდინარეობს **კლიენტსა** და **მაიქოინსის** სხვა **კლიენტს** შორის არსებული გარიგებიდან;

20.30. **მაიქოინსი** არ იღებს პასუხისმგებლობას **კლიენტის** პერსონალური კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის, ან/და სხვა მოწყობილობის (მისი ცალკეული ნაწილებისა ან/და დანამატების), პროგრამის ან/და სხვა ნებისმიერი სახის ელექტრონული ან ციფრული საშუალებების გამართულ მუშაობაზე, რომელიც **მაიქოინსის** მიერ იქნა მოწოდებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების და ვადამდე შეწყვეტის წესი

21.1. **ხელშეკრულება** ძალაში შესვლის შემდგომ ძალაში რჩება 25 წლის ვადით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური ვადით;

21.2. **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** ინიციატივით:

- 21.2.1. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **ხელშეკრულება** **მაიქოინსის** წინაშე არსებული ფულადი (მათ შორის **მიმდინარე** **დავალიანების**) ან/და არაფულადი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, **მაიქოინსის** იურიდიულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- 21.2.2. **კლიენტის** მიერ ამ **პირობებით** გათვალისწინებული გადასახდელების სრულად და ჯეროვნად **მაიქოინსისთვის** გადახდა წარმოადგენს მისი ფულადი ვალდებულების შესრულებას. ფულადი ვალდებულების (მათ შორის **მიმდინარე** **დავალიანების**) შესრულება არ იწვევს **ხელშეკრულების** შეწყვეტას;
- 21.2.3. **პირობების** 21.2.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში **მხარეები** ინარჩუნებენ სხვა უფლებებს (მაგ:**მაიქოინსმა** შეზღუდვების გარეშე, **მომსახურებების** გაწევის მიზნით დაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს და მიიღოს მესამე პირებისგან **კლიენტის** პერსონალური მონაცემები და ა.შ.), რაც გათვალისწინებულია წინამდებარე **პირობებით** **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე;
- 21.2.4. **კლიენტი** ვალდებულია **ხელშეკრულების** შეწყვეტის შეტყობინებაში მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:
  - 21.2.4.1. **მაიქოინსის** სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
  - 21.2.4.2. **კლიენტის** პირადი ნომერი და **პირადი ანგარიშის** ნომერი;
  - 21.2.4.3. ინფორმაცია **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ;
  - 21.2.4.4. განცხადების შედგენის დრო და ადგილი;
  - 21.2.4.5. **კლიენტის** სახელი და გვარი გარკვევით, ხელმოწერა;

21.3. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდეგ იგივე **კლიენტის** მიერ ხელახალი რეგისტრაცია განიხილება, როგორც პირველადი რეგისტრაცია, რის გამოც მასზე არ გავრცელდება აქციის ფარგლებში **მომსახურებებით** გათვალისწინებული ან/და ნებისმიერი სხვა დისკრეციული შეღავათები/ფასდაკლება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. **მაიქოინსს** შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება** შემდეგ შემთხვევებში:

- 21.3.1. **მაიქოინსისთვის** ცნობილი ხდება, რომ **კლიენტის** მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად **კლიენტს** შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის მოცულობაც აღემატება **მიმდინარე** **დავალიანებას**, ან **კლიენტი** მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება **მიმდინარე** **დავალიანებას** ან/და **კლიენტი** დაპატიმრებულია;
- 21.3.2. **მაიქოინსისთვის** ცნობილი ხდება, რომ **ხელშეკრულების** დადებისას **კლიენტმა** მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;
- 21.3.3. **კლიენტი** გახდა გადახდისუუნარო;
- 21.3.4. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში;
- 21.3.5. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია პირველი მოთხოვნისთანავე გადაიხადოს **პირობებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, მათ შორის **მიმდინარე** **დავალიანება**;
- 21.3.6. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **მაიქოინსი** გათავისუფლდება **პირობების** შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან **კლიენტის** წინაშე;

22. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

22.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

22.2. **მხარეთა** მიერ, **პირობების** შესრულების ადგილად მიჩნეულია ქ. თბილისი;

22.3. ამ **პირობებთან** ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების გზით;

22.4. თუ **მხარეები** 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანახმა არიან შეიტანონ საჩივარი შესაბამისი იურისდიქციის მქონე საქართველოს სასამართლოში;

22.5. ზემოაღნიშნული მუხლი არ ნიშნავს **მაიქოინსის** უფლების შეზღუდვას დაიწყოს სასამართლო პროცესი **კლიენტის** წინააღმდეგ ა) შესაბამისი იურისდიქციის მქონე სხვა სასამართლოში ან ბ) შესაბამისი იურისდიქციის მქონე ერთზე მეტ სასამართლოში;

23. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

23.1. **პირობების** 23.2 პუნქტის გათვალისწინებით, **მხარეები** ვალდებულნი არიან **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე **პირობების** (დანართების ჩათვლით) კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (i) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი **მხარეთაგან** დამოუკიდებლად; (ii) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (iii) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე **მხარის** მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

23.2. მიუხედავად 23.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, **კლიენტი მაიქოინსს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

23.2.1. გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **მაიქოინსის** ხელთ არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ, **კლიენტის** მიერ განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ **კლიენტის** მიერ ნებადართულ პირებს, **მაიქოინსის პარტნიორ კომპანიებს**, **მაიქოინსის** შვილობილ და მონათესავე საწარმოებს, **მაიქოინსის** მომწოდებლებს;

23.2.2. გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **მაიქოინსის** ხელთ არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ შპს „საქართველოს ფოსტას“ (ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტს) **კლინტთან** კომუნიკასიის მიზნით მუხლი 26-ის შესაბამისად;

23.2.3. გამოიყენოს ინფორმაცია **კლიენტის** მიერ **მომსახურებებით** სარგებლობის შესახებ და გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია **მაიქოინსის პარტნიორ კომპანიებს**, **მაიქოინსის** შვილობილ, მონათესავე ან **პირობების** 20.9 პუნქტში მოცემულ სხვა ნებისმიერ პირებს მათ მიერ სხვადასხვა **მომსახურების** შემოთავაზებების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია **მაიქოინსის** მიერ მოპოვებული იქნება სხვადასხვა წყაროებიდან, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის** მიერ შევსებულ **განაცხად(ებ)ს**, **კლიენტის** მიერ განხორციელებული **ოპერაცი(ებ)იდან**, გამოკითხვ(ებ)იდან და კვლევ(ებ)იდან (რომელიც მოიცავს **კლიენტთან** დაკავშირებას ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტით, ტელეფონით ან სხვა საშუალებით), და ასევე სხვა გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს და მარკეტინგულ ორგანიზაციებს;

23.2.4. მოიძიოს, გადასცეს, მოიპოვოს ან და დაამუშავოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები სხვადასხვა ტიპის შავ/ტერორისტთა/ საეჭვო პირთა სიებში;

23.2.5. **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში დაამუშავოს **კლიენტის** მონაცემები (**მაიქოინსის** მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ **კლიენტისაგან** ან წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ისაგან მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე **პირობებში** მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას), ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან **კლიენტზე** ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, დაფარული აქვს თუ არა **კლიენტს** ნებისმიერი ფულადი დავალიანება მათ შორის **მიმდინარე დავალიანება მაიქოინსის** წინაშე. **კლიენტის** პერსონალური მონაცემებზე წვდომა/დამუშავება **მაიქოინსის** შეუძლია **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე;

23.2.6. **მაიქოინსის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **მაიქოინსის** შეკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ) ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისათვის, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

23.2.6.1. **კლიენტის** სახელი და გვარი;

23.2.6.2. პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები;

23.2.6.3. დაბადების თარიღი;

23.2.6.4. სქესი;

23.2.6.5. რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;

23.2.6.6. ტელეფონის/მობილურის ნომერი;

23.2.6.7. ელექტრონული ფოსტის მისამართი;

23.2.6.8. საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);

23.2.6.9. **კლიენტის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;

23.2.6.10. დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);

23.2.6.11. **პირადი ანგარიშის** და საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციები;

23.2.6.12. საქართველოში მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ოპერაციები, ასევე მათი **წვდომის კოდები**;

23.2.6.13. სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა);

23.2.6.14. სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და **კლიენტისა** ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ **ამონაწერი**);

23.2.6.15. ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;

23.2.7. ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე 32-ე მუხლში ჩამოთვლილი პერსონალური მონაცემები;

23.2.8. ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რის შედეგადაც შესაძლებელია **კლიენტის** იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა **კლიენტებთან** მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები **ოპერაციული** აქტივობით;

23.3. თუ **კლიენტი**, **მომსახურებების** მიღების მიზნით, **მაიქოინსს** აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **მაიქოინსი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას **მომსახურებების** შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **კლიენტი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების **მაიქოინსის** მიერ დამუშავებაზე. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **მაიქოინსისტვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **მაიქოინსის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **მაიქოინსის** **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **მაიქოინსი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **მაიქოინსი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას;

23.4. **მაიქოინსის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **მაიქოინსის ვებ-გვერდი**, **იმანის მობილური აპლიკაცია** და სხვა **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი** ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით/**დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით** სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას;

23.5. მონაცემთა დამუშავების საფუძველი. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **მომსახურებებით** სარგებლობის პერიოდში, ასევე **სახელშეკრულებო** ურთიერთობის პერიოდში, **მაიქოინსის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება აუცილებელია:

23.5.1. **მომსახურებების** გასაწევად;

23.5.2. **მაიქოინსის** ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

23.5.3. **მაიქოინსის** მიერ **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

23.5.4. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში;

23.6. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, **კანონმდებლობა** ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული **კლიენტის** **განაცხადი**, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება წინამდებარე **პირობებს** და რომელიც ამ **განაცხადთან** ერთად წარმოადგენს ერთიან **ხელშეკრულებას**;

23.7. მონაცემების დამუშავების მიზანი. **მაიქოინსის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ **კლიენტის** ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

23.7.1. **მომსახურებების** სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

23.7.2. **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

23.7.3. **მომსახურებების** გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **მაიქოინსი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

23.7.4. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

23.7.5. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

23.7.6. არსებული **მომსახურებების** ფარგლებში, **მომსახურებების** პირობების ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის და სხვა პერსონალური მონაცემების გადამოწმება წამოადგენს;

23.7.7. ახალი ან/და დამატებითი **მომსახურების** შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წარმოადგენს;

23.7.8. მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც **მაიქოინსის**, ასევე წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;

23.8. ინფორმაციის წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემა/მესამე პირ(ებ)ისაგან ინფორმაციის გამოთხოვა. იმისათვის, რომ **მაიქოინსმა** სრულად და ჯეროვნად განახორციელოს **კლიენტის** მომსახურება, მონაცემთა დამუშავების ფარგლებში აუცილებელია მონაცემების წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვა;

23.9. **მომსახურებების** მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **კლიენტი მაიქოინსს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

23.9.1. **მაიქოინსმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **მაიქოინსისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები;

23.9.2. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს ,,კრედიტინფო საქართველოსთან" ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში სს ,,კრედიტინფო საქართველოს" მიაწოდოს ან/და გამოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (თავდები და სხვა) საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, ისტორიას, ოდენობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტსა და სხვა პირობებს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (თავდები და სხვა) მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

23.9.3. მისცეს თანხმობა სს ,,კრედიტინფო საქართველოს", რომ **მაიქოინსის** მიერ სს ,,კრედიტინფო საქართველოსთვის" მიწოდებული **კლიენტების** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (თავდები და სხვა) მონაცემები სს ,,კრედიტინფო საქართველოს" გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ **მაიქოინსის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (თავდები და სხვა) მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან სს ,,კრედიტინფო საქართველოს" აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება სს ,,კრედიტინფო საქართველოსთან";

23.9.4. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს ,,კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში არსებული **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (თავდები და სხვა) მონაცემები;

23.9.5. **მაიქოინსმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, **მაიქოინსისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების/ოპერაციების შესახებ ინფორმაცია და სხვა);

23.10. **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს" (ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტს) და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს ერთიანი ბაზის ფორმირებისთვის;

23.11. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **მიმდინარე სესხის** ან/და **მიმდინარე დავალიანების** მოცულობას, მიზნობრიობას, საკომისიოს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** მიერ **მიმდინარე დავალიანებასთან** დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, **კლიენტის** მიერ რეგისტრაციისას შეყვანილ ნებისმიერ ინფორმაციას, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

23.12. პირდაპირი მარკეტინგი. **კლიენტი** ანიჭებს **მაიქოინსს** უფლებამოსილებას, **მაიქოინსში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, **მაიქოინსის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს

მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ **მაიქოინსი კლიენტისგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით;

23.13. **კლიენტი** ანიჭებს **მაიქოინსს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **მაიქოინსმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **მაიქოინსის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **მაიქოინსის** დაკავშირებულ პირ(ებ)ს ან/და **მაიქოინსის პარტნიორ კომპანიებს**. ამასთან, **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით;

23.14. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **მაიქოინსს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **მაიქოინსის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **მაიქოინსის** კუთვნილ (**მაიქოინსთან** ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის **მაიქოინსის ვებ-გვერდი**, **მობილური აპლიკაცია**, ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, ნებისმიერი **დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ი** და სხვა);

23.15. ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა. უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე **მომსახურებების** ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **მაიქოინსში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება **მაიქოინსის** პარტნიორი ბანკების ბანკომატების ან/და **მაიქოინსის პარტნიორი კომპანიების** და სხვა პარტნიორი კომპანიების ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს **მაიქოინსთან** სატელეფონო კომუნიკაციისას;

23.16. **მაიქოინსის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე **მაიქოინსთან** კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **კლიენტი**, აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე;

23.17. საავტორო უფლებები. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **მაიქოინსის ვებ-გვერდზე**, **მობილურ აპლიკაციასა** და სხვა ელექტრონულ არხებში/**დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში** განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **მაიქოინსის** საკუთრებად და **მაიქოინსი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს;

23.18. მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა. თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე **სახელშეკრულებო** ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია;

23.19. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **მაიქოინსის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, სს „კრედიტინფო საქართველოსთვის" და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი სხვა მესამე პირებისთვის, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **მაიქოინსის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**;

23.20. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **მაიქოინსს** მიეწოდა ელექტრონული არხების (**დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის** ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **მაიქოინსის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**;

23.21. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **მაიქოინსი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **მაიქოინსში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **მაიქოინსი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**;

23.22. **მაიქოინსის** უფლება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე წყდება **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** შეწყვეტისას;

23.23. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **მაიქოინსში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **მაიქოინსს** აღნიშნულის შესახებ;

23.24. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **მაიქოინსს** მის შესახებ **მაიქოინსში** დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

24. მომსახურებების შეჩერება

24.1. **მაიქოინსი** უფლებამოსილია შეაჩეროს **კლიენტის პირადი ანგარიშის** მოქმედება ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი **მომსახურება**, შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე **კლიენტისთვის** შეტყობინების პირობით. **კლიენტი** უფლებამოსილია შეაჩეროს მისი **პირადი ანგარიშის** მოქმედება ნებისმიერ დროს **პირობების** მუხლი 21-ის შესაბამისად. **პირადი ანგარიშის** მოქმედების შეჩერების შესახებ შეტყობინებასთან ერთად, ან მის შემდეგ ნებისმიერ დროს, **მაიქოინსს** შეუძლია გაუწიოს **კლიენტს** დახმარება მის **პირად ანგარიშზე** არსებული ნაშთის განაღდებასთან დაკავშირებით იმის გათვალისწინებით თუ **კლიენტს** არ გააჩნია **მიმდინარე დავალიანება**;

24.2. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის პირად ანგარიშზე** მოქმედებს რეზერვი, **კლიენტის პირადი ანგარიშის** შეჩერება გავლენას არ იქონიებს **კლიენტის** უფლებაზე **მაიქოინსმა** მოახდინოს რეზერვის თანხის დაბლოკვა და შესაბამისად თანხების ჩამოჭრა შეთანხმებული ვადის განმავლობაში;

24.3. **მაიქოინსი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს **კლიენტის პირადი ანგარიშის** მოქმედება წინასწარი შეტყობინების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ:

24.3.1. **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობების** ნებისმიერ დებულებას, ან ნებისმიერ სხვა დებულებას;

24.3.2. **კლიენტი** დაარღვევს, ან **მაიქოინსს** აქვს გონივრული საფუძველი, ივარაუდოს, რომ **კლიენტმა** დაარღვია ნებისმიერი კანონი ან ინსტრუქცია, რომელიც აწესრიგებს **კლიენტის** მიერ **პირადი ანგარიშის** გამოყენებას;

24.3.3. **მაიქოინსს** აქვს საფუძველი იფიქროს, რომ **კლიენტი** რაიმე ხერხით ჩართულია თაღლითურ ქმედებაში, ფულის გათეთრებაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებაში;

24.3.4. **პირობების** მუხლი 21-ის შესაბამისად;

24.4. **იმანი** უფლებამოსილია შეაჩეროს **კლიენტის eMoney ანგარიშის** მოქმედება ნებისმიერ დროს, თუ:

24.4.1. **მაიქოინსს** აქვს გონივრული საფუძველი, ივარაუდოს, რომ **კლიენტის პირადი ანგარიშით** სარგებლობს სხვა პირი, ასევე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე სხვა საფუძვლით; ან

24.4.2. **მაიქოინსს** აქვს გონივრული ეჭვი, რომ **კლიენტის პირადი ანგარიში** გამოყენებულ იქნა, ან ამჟამად გამოიყენება **კლიენტის** ნებართვის გარეშე, ან თაღლითური გზით; ასეთ შემთხვევაში **მაიქოინსი** ატყობინებს ამის შესახებ **კლიენტს** მისი **პირადი ანგარიშის** მოქმედების შეჩერებამდე, ან როდესაც მოცემულ გარემოებებში ეს შეუძლებელია, უმალვე **პირადი ანგარიშის** მოქმედების შეჩერებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **კანონმდებლობა** კრძალავს **კლიენტისთვის** შეტყობინებას;

24.4.3. **პირობების** მუხლი 21-ის შესაბამისად.

25. წინამდებარე პირობებში ცვლილებების შეტანა

25.1. წინამდებარე **პირობები** შესაძლებელია დაექვემდებაროს ცვლილებებს. ცვლილებები განხორციელებულ იქნება **მაიქოინსის** მხრიდან **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუმცა, **პირობებში** ცვლილების შესვლის შემთხვევაში **კლიენტმა** ხელმეორედ უნდა განაცხადოს მათზე **თანხმობა** ცვლილების შემდგომ **მომსახურებების** მიღების მიზნით. **პირობების** ყოველი ცვლილებისას **კლიენტს** ექნება შესაძლებლობა განაცხადოს **თანხმობა მაიქოინსის** ნებისმიერი არხით სარგებლობისას.

26. კომუნიკაციის წესი

26.1. წინამდებარე **პირობებიდან** გამომდინარე შეტყობინება **კლიენტს** შესაძლოა გაეგზავნოს:

26.1.1. მის მიერ მითითებულ მისამართზე;

26.1.2. ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

26.1.3. მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით;

26.2. **კლიენტის** მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არც ერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე;

26.3. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ **კლიენტს** ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება **კლიენტისთვის** შეტყობინების ჩაბარებად;

26.4. **კლიენტი**, ყოველდღე, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე, უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან;

26.5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს **მაიქოინსს**. **მაიქოინსი** უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის და **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ **მაიქოინსმა** ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით;

26.6. **კლიენტი** ადასტურებს, რომ თანახმაა **მაიქოინსთან** ელექტრონული ფორმით **ხელშეკრულების** დადების შემდგომ მიიღოს ანგარიშსწორება და მიმოწერა ელექტრონულად, დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. **კლიენტი** ინფორმირებულია, რომ **მაიქოინსის** მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს **მიმდინარე დავალიანების**, გადასახდელი საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა ფულადი ვალდებულების გადაუხდელობას;

26.7. თუ იცვლება **კლიენტის** მიერ მითითებული ანგარიში ან **ხელშეკრულებაში** მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **მაიქოინსს** და მიაწოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ამ **პირობებით** გათვალისწინებულ **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება **კლიენტის** მიერ მიღებულად;

26.8. ამ მუხლის მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული, ასევე სხვა ნებისმიერი შეტყობინება **მაიქოინსის** მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ ის შედგენილია წერილობით და ბარდება **მაიქოინსის** მისამართზე;

26.9. თუ **მაიქოინსმა კლიენტს** მის მიერ მითითებულ მისამართზე გაუგზავნა წერილობითი შეტყობინებები ნებისმიერი გადასახდელების, მათ შორის **მიმდინარე დავალიანების** შესახებ ან **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე სხვა შეკვეთილი წერილები, მას აქვს უფლება მოითხოვოს **კლიენტისგან** გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

26.10. **კლიენტისგან** წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებაზე **მაიქოინსი** ვალდებულია გასცეს პასუხი მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 20 დღის ვადაში;

26.11. **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებრე **პირობების** და **ხელშეკრულების** ეგზემპლარი, რისთვისაც **კლიენტმა** უნდა მიმართოს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრს**.

27. პრეტენზიები

27.1. ნებიმისერი სახის პრეტენზია, რაც უკავშირდება **მაიქოინსის** ან მის მიერ შემოთავაზებულ **მომსახურებას**, თავდაპირველად განსახილველად წარმოდგენილ უნდა იქნეს **მაიქოინსის კლიენტთა მომსახურების ცენტრში კლიენტის** მიერ. **კლიენტი** ვალდებულია გარკვევით მიუთითოს, რომ სურვილი აქვს მიმართოს **მაიქოინსს** პრეტენზიით. აღნიშნული **მაიქოინსს** შესაძლებლობას აძლევს, ერთმანეთისაგან განასხვაოს პრეტენზია და უბრალო შეკითხვა. **მაიქოინსი კლიენტს** დაუდასტურებს პრეტენზიის მიღებას 10 სამუშაო დღის განმავლობაში. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს პრეტენზიებისთვის დადგენილი პროცედურის ეგზემპლარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

28. ზარალის ანაზღაურება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

28.1. იმის გათვალისწინებით, რომ **მაიქოინსი** მოქმედებს **კლიენტის დავალებით**, **მომსახურებების** გაწევისას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **მაიქოინსს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე მხარის მიერ წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, რომლის შედეგადაც **მაიქოინსს** მიადგა ზიანი ან ზარალი. ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **მაიქოინსს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა **პირობებით** გათვალისწინებული **მომსახურებების** გამოყენების შედეგად (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ მომსახურებებს**), ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა ამგვარი **მომსახურებების** (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ მომსახურებებს**) მეშვეობით განხორციელებული **ოპერაციის** შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული **ოპერაციები** განხორციელდება **მაიქოინსის** მიერ მიღებული **დავალებისა** და ავტორიზაციის შესაბამისად ამ **პირობების** მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისთვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება აღნიშნული **მომსახურებების** ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება;

28.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ **ოპერაციებთან** დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ;

28.3. ამ **პირობების** დებულებების მიუხედავად, **მაიქოინსი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა წინამდებარე **პირობებთან** დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, **მაიქოინსი** გამორიცხავს ნებისმიერ პასუხისმგებლობას ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **პირობებში** განსაზღვრულ საბანკო **მომსახურებებთან**;

28.4. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურებისა და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **მაიქოინსის** აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **მაიქოინსის** ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ **პირობების** დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობების** დარღვევას);

28.5. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მომსახურებების** შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ **ხელშეკრულებიდან** და **პირობებიდან** წარმოშობილ ვალდებულებებს;

29. გადასახადები

29.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ **პირობების** შესაბამისად. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **პირადი ანგარიშ(ებ)ის** მართვასთან ან წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა **მომსახურებასთან** მიმართებით (ერთად – „საგადასახადო ვალდებულება"); **მაიქონსი** არ ასრულებს ან შეასრულებს **კლიენტის** ფისკალური აგენტის როლს და, შესაბამისად, არ არის ვალდებული და არც დააკავებს წყაროსთან გადახდის მიზნით **კლიენტის** მიერ გადასახდელ ნებისმიერ გადასახადს, ვინაიდან **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ამ **პირობებიდან** წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებებზე; ამასთანავე, **მაიქოინსი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტისგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **მაიქოინსი** ან/და ჯგუფის ნებისმიერი

კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოჭრას **კლიენტის** ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **იმანი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად **მაიქოინსს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **მაიქოინსს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **მაიქოინსის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით;

29.2. **მაიქოინსი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობითა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

30. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებები

30.1. **კლიენტი** აღიარებს, რომ **მაიქოინსის**, ისევე როგორც ჯგუფის კომპანიების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონებით ფულის გათეთრებისა და მსგავსი დანაშაულის აღკვეთის შესახებ. აქედან გამომდინარე, **მაიქოინსი** და ჯგუფის კომპანიები კანონის შესაბამისად ვალდებულნი არიან მოახდინონ **კლიენტის** პიროვნების და მისი შემოსავლის წყაროს იდენტიფიცირება, სანამ **კლიენტის** მიერ **მაიქოინსში** გახსნილი **პირადი ანგარიში** მოქმედი გახდება. თუ **კლიენტი** არ გასცემს პასუხს **განაცხადში** მოცემულ ყველა კითხვას ან არ მიაწვდის **მაიქოინსს** ყველა სახის მოთხოვნილ ინფორმაციას, **მაიქოინსმა** შესაძლოა ვერ მიიღოს **კლიენტის განაცხადი მომსახურების** შესახებ;

30.2. ამ **პირობების** თანახმად **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **მაიქოინსს** მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ (განსაკუთრებით, თანხების საერთაშორისო გადარიცხვების შესახებ, **კლიენტის პირადი ანგარიშიდან** გადარიცხული თანხების მიმღების ან **კლიენტის პირად ანგარიშზე** ჩარიცხული თანხების შესახებ) შესაბამისი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამსახურებს (საქართველოში და საზღვარგარეთ) **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამგვარი ინფორმაცია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ პირების სახელებსა და პირადობის დამადასტურებელ მონაცემებს, რომლებთანაც **კლიენტს** ფინანსური კავშირი აქვს;

30.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების შედეგად, შესაძლებელია დაგვიანდეს **კლიენტის დავალებების** განხორციელება ან თანხების მიღება, მაგრამ, თუ შესაძლებელი იქნება, **მაიქოინსი კლიენტს** განუმარტავს დაგვიანების გამომწვევ მიზეზებს;

30.4. ინფორმაციის გადაცემა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი სამსახურებისთვის არ განიხილება კონფიდენციალურობის დარღვევად აქ მოყვანილი დებულებების შესაბამისად; არც **მაიქოინსი** და არც ჯგუფის კომპანიები არ იქნებიან ვალდებულნი **კლიენტის** არანაირ პირდაპირ ან შედეგობრივ ზარალზე (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ მოგებას), რომელიც გამოწვეულია ამგვარი კანონმდებლობის დაცვით.

31. გარდამავალი დებულებები

31.1. **კლიენტის პირადი ანგარიში** განკუთვნილია **კლიენტის** პირადი სარგებლობისთვის და წინამდებარე **პირობების** მიხედვით, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი კუთვნილი უფლებები გადასცეს მესამე პირებს;

31.2. **მაიქოინსი** აცხადებს, რომ წინამდებარე **პირობებში** წარმოდგენილი გარკვეული **მომსახურებები** შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი გარკვეულ მომენტში, რაც განეკუთვნება **მაიქოინსის** დისკრეციულ უფლებამოსილებას და შესაბამისად, **მაიქოინსი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული **მომსახურებების** მიწოდება, ან მოხდება მისი ნაწილობრივი მიწოდება;

31.3. **კლიენტის პირადი ანგარიშის** მართვა ხდება საქართველოში და წინამდებარე **პირობები** ექვემდებარება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი სახის დავა, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული **პირობებიდან**, ან სხვაგვარად უკავშირდება **კლიენტის პირად ანგარიშს**, მიმართულ იქნება ექსკლუზიურად საქართველოს სასამართლოებში;

31.4. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე **პირობების** რომელიმე ნაწილი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნება ძალადაკარგულად, უკანონოდ, ან ისეთად, რომლის აღსრულებაც ვერ ხორციელდება, აღნიშნულ ნაწილი განიხილება, როგორც **პირობების** დანარჩენი დებულებებისგან განცალკევებული, ხოლო დანარჩენი დებულებები განაგრძობს სრულად მოქმედებას კანონით ნებადართულ ფარგლებში;

31.5. წინამდებარე **პირობებზე თანხმობის** გაცხადებით **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ **მაიქოინსს** ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს **კლიენტის** წინასწარი შეტყობინების გარეშე;

31.6. წინამდებარე **პირობებში** აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა **პირობების** განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე;

31.7. **მაიქოინსის** მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია მიაწოდოს **მაიქოინსს** ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც **მაიქოინსი** მოითხოვს ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

31.8. თუ წინამდებარე **პირობების** რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას **პირობების** დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე;

31.9. **მაიქოინსს** უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ **პირობების** ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს **კლიენტს მაიქოინსის** საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის **მაიქოინსის ვებ-გვერდის** მეშვეობით, **მაიქოინსისთვის** ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არხით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

31.10. **მაიქოინსის** მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება არ ნიშნავს იმას, რომ **მაიქოინსი** უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე, **მაიქოინსის** ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას;

31.11. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მაიქოინსს** **კლიენტის** მიერ **პირობების** დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ **პირობებით** ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;

31.12. **კლიენტი**, **მაიქოინსის** წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ **პირობებიდან** გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს;

31.13. **პირობებით** გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე **მხარის** უფლებამონაცვლეებზე;

31.14. **მხარეთა** შეთანხმებით წინამდებარე **პირობების** შესრულების ადგილად მიჩნეულია **მაიქოინსის** იურიდიული მისამართი;

31.15. წინამდებარე **პირობების** დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

31.16. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **პირობებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით;

31.17. **პირობები** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **პირობები** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეებისათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **პირობების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **პირობების,** თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

32. პერსონალური მონაცემების დამუშავების და დაცვის პოლიტიკა

მაიქოინსის პოლიტიკა პერსონალური მონაცემების დამუშავების და დაცვის საკითხში (შემდგომში - „**პოლიტიკა**“) განსაზღვრავს **მაიქოინსის** პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიას და აყალიბებს პერსონალური მონაცემების ძირითად პრინციპებს და მექანიზმებს;

პოლიტიკა არის **მაიქოინსის** ძირითადი მმართველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წაყენებულ მოთხოვნებს;

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია პერსონალურ მონაცემებზე არასანქციონირებული, მათ შორის შემთხვევითი, ხელმისაწვდომობის გამორიცხვით, რომლის შესაძლო შედეგებია პერსონალური მონაცემების განადგურება, შეცვლა, ბლოკირება, კოპირება, გავრცელება;

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მათი საინფორმაციო სისტემაში დამუშავების დროს ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემის დახმარებით, რომელიც მოიცავს საორგანიზაციო ზომებს და ინფორმაციის დაცვის საშუალებებს, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რომლებსაც იყენებენ საიფორმაციო სისტემაში. ტექნიკური და პროგრამული საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის დაცვას;

32.1. ზოგადი დებულებები

32.1.1. **პოლიტიკის** გამოყენების მიზანი და სფერო: **პოლიტიკის** მიზანია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ნორმატიული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დებულებების რეალიზაცია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიზანია:

32.1.1.1. პერსონალური მონაცემების (ფიზიკური პირების) სუბიექტის უფლების დარღვევის თავიდან აცილება იმ ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად, რომლის დამუშავება ხდება **მაიქოინსის** პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში;

32.1.1.2. პერსონალური მონაცემების იმ ინფორმაციის დამახინჯების ან არასანქციონირებული მოდიფიკაციის თავიდან აცილება, რომლის დამუშავება ხდება **მაიქოინსის** პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში;

32.1.2. პერსონალური მონაცემების ინფორმაციის მიმართ არასანქციონირებული ქმედებების თავიდან აცილება: **პოლიტიკის** მოთხოვნები აუცილებელია **მაიქოინსის** ყველა თანამშრომლისთვის გავრცელდება:

32.1.2.1. **მაიქოინსის** ავტომატიზირებულ სისტემებზე;

32.1.2.2. ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე;

32.1.2.3. საინფორმაციო რესურსებზე და ინფორმაციის მატარებლებეზე;

მაიქოინსის შიდა დოკუმენტები, რომლებშიც **პოლიტიკაში** განხილული საკითხებია შესული, უნდა დამუშავდეს **პოლიტიკის** დებულებების გათვალისწინებით და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ;

პოლიტიკა არის **მაიქოინსის** ლოკალური ნორმატიული აქტი და ძალაში შედის დამტკიცების შესახებ ბრძანებაზე **მაიქოინსის** გენერალური დირექტორის ხელის მოწერის მომენტიდან;

32.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

32.2.1. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების და მეთოდების კანონიერება და კეთილსინდისიერება;
32.2.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ და განცხადებულ მიზნებთან პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს, აგრეთვე **მაიქოინსის** უფლებამოსილებებთან;
32.2.3. დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოცულობის და ხასიათის შესაბამისობა, პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდების შესაბამისობა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებთან;
32.2.4. პერსონალური მონაცემების უტყუარობა, მათი საკმარისობა დამუშავების მიზნებისათვის, პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს განცხადებულ მიზნებთან მიმართებაში გადაჭარბებული პერსონალური მონაცემების დამუშავების დაუშვებლობა;
32.2.5. შეუთავსებელი მიზნებისათვის შექმნილი პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზის გაერთიანების დაუშვებლობა;

32.3. პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდები

მაიქოინსს შეუძლია განახორციელოს პერსონალური მონაცემების დამუშავება ავტომატიზაციის საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე ასეთი საშუალებების გამოყენების გარეშე;

32.4. პერსონალური მონაცემების სუბიექტები

მაიქოინსს (პერსონალური მონაცემების ოპერატორს) შეუძლია განახორციელოს პერსონალური მონაცემების სუბიექტების შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება:

32.4.1. **კლიენტები**
32.4.2. **ხელშეკრულების** 23.3 პუნქტის შესაბამისად

32.5. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები

კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასება და **ხელშეკრულების** 23-ე მუხლში მოცემული ყველა სხვა მიზანი;

32.6. დამუშავებული პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი

32.6.1. გვარი, სახელი, მამის სახელი;
32.6.2. სქესი;
32.6.3. ოჯახური მდგომარეობა, ბავშვების რაოდენობა;
32.6.4. კმაყოფაზე მყოფი პირები;
32.6.5. დაბადების თარიღი და ადგილი;
32.6.6. საპასპორტო მონაცემები;
32.6.7. რეგისტრაციის მისამართი;
32.6.8. ფაქტიური მისამართი;
32.6.9. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში არსებობა, მისამართი;
32.6.10. საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
32.6.11. ელექტრონული ფოსტა;
32.6.12. განათლების დონე;
32.6.13. საქმიანობის სტატუსი (ზოგადად);
32.6.14. თვიური შემოსავლის დონე;
32.6.15. IP მისამართი;
32.6.16. დამუშავებული/დასამუშავებელი პერსონალურ მონაცემებს ასევე მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **ხელშეკრულების** 23-ე მუხლში მოცემულ პერსონალური მონაცემებს.

32.7. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

პერსონალური მონაცემების დამუშავება იწყება პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში მათი მიღების მომენტიდან და მთავრდება:

32.7.1. პერსონალურ მონაცემებზე მიმართული არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის შემთხვევაში სამი სამუშაო დღის ვადაში ასეთი გამოვლენის მომენტიდან, **მაიქოინსი** ასრულებს დაშვებული დარღვევის აღმოფხვრას. სამი სამუშაო დღის ვადაში პერსონალურ მონაცემებზე მიმართული არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის მომენტიდან დაშვებული დარღვევების აღმოფხვრის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ანადგურებს პერსონალურ მონაცემებს. დაშვებული დარღვევების აღმოფხვრის და პერსონალური მონაცემების განადგურების შესახებ **მაიქოინსი** ატყობინებს პერსონალური მონაცემების სუბიექტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ მიმართვა ან მოთხოვნა პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებების დაცვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო გაგზავნილი, **მაიქოინსი** აღნიშნულ ორგანოსაც აცნობებს;

32.7.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების მიღწევის შემთხვევაში, **მაიქოინსი** დაუყოვნებლივ წყვეტს პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ანადგურებს შესაბამის პერსონალურ მონაცემებს სამი სამუშაო დღის ვადაში პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნის მიღწევის თარიღიდან, და, აცნობებს ამის შესახებ პერსონალური მონაცემების სუბიექტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ მიმართვა ან მოთხოვნა პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებების დაცვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო გაგზავნილი, **მაიქოინსი** აღნიშნულ ორგანოსაც აცნობებს;

32.7.3. სუბიექტის მიერ თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პერსონალური მონაცემების **თანხმობის** უკან გამოხმობის შემთხვევაში, **მაიქოინსი** წყვეტს პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ანადგურებს შესაბამის პერსონალურ მონაცემებს სამი სამუშაო დღის ვადაში აღნიშნული გამოხმობის მიღების დღიდან. პერსონალური მონაცემების განადგურების შესახებ **მაიქოინსი** აცნობებს პერსონალური მონაცემების სუბიექტს;

32.7.4. **მაიქოინსის** საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.

32.8. პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები

პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

32.8.1. პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა;

მაიქოინსთან დოკუმენტურად ფორმდება კონფიდენციალური მონაცემების შესახებ ცნობების ჩამონათვალი. **მაიქოინსმა** და მესამე პირებმა, რომელთათვის ხელმისაწვდომია პერსონალური მონაცემები, უნდა უზრუნველყონ ასეთი მონაცემების კონფიდენციალობა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

32.8.1.1. პერსონალური მონაცემების დეპერსონალიზაციის შემთხვევაში;
32.8.1.2. საჯაროდ ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების მიმართ;

32.9. პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალების მიცემა მესამე პირთათვის

იმ შემთხევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე **მაიქოინსი** ავალებს მესამე პირს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს აღნიშნული პირის მიერ პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ვალდებულება მათი დამუშავების დროს. ამ მოთხოვნის შესრულების კონტროლს ახორციელებს **მაიქოინსის** დირექტორი;

32.10. პერსონალური მონაცემების შენახვა და განადგურება

პერსონალური მონაცემების შენახვა უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმით, რომ პერსონალური მონაცემების სუბიექტის დადგენის პროცესი არ გაგრძელდეს ამ მონაცემთა დამუშავების მიზნისთვის განსაზღვრულ დროზე უფრო ხანგრძლივად. მიზნების მიღწევის არსაჭიროების შემთხვევაში პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განადგურებას;

პერსონალური მონაცემების განადგურება აქტით ფორმდება. პერსონალური მონაცემების მატერიალური მატარებლების შენახვის ადგილის დამტკიცება ხდება გენერალური დირექტორის განკარგულებით;

32.11. პერსონალური მონაცემების დამუშავება **მომსახურებების** პროგრესის მიზნით

პერსონალური მონაცემების დამუშავება ბაზარზე **მომსახურებების** პროგრესის მიზნით პოტენციურ მომხმარებელთან პირდაპირი კონტაქტების განხორციელების გზით კავშირის საშუალებების დახმარებით, დასაშვებია მხოლოდ პერსონალური მონაცემების სუბიექტის წინასწარი **თანხმობის** პირობით;

32.12. პერსონალური მონაცემების ტრანსსაზღვრული გადაცემა

მაიქოინსს შეუძლია განახორციელოს პერსონალური მონაცემების ტრანსსაზღვრული გადაცემა;

პერსონალური მონაცემების ტრანსსაზღვრული გადაცემის განსახორციელებლად საჭიროა პერსონალური მონაცემების სუბიექტის **თანხმობის** მიღება;

პერსონალური მონაცემების ტრანსსაზღვრული გადაცემის განხორციელება პერსონალური მონაცემების სუბიექტის **თანხმობის** გარეშე შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

32.12.1. ხელშეკრულების შესრულებისას, რომლის მხარე პერსონალური მონაცემების სუბიექტია;
32.12.2. პერსონალური მონეცემების სუბიექტის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სხვა საციცოხლო ინტერესების დაცვის შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების სუბიექტის **თანხმობის** მიღების შეუძლებლობისას;

32.13. ზოგადი მოთხოვნები პერსონალური მონაცემების დაცვის ორგანიზაციის საკითხში

32.13.1. ზოგადი დებულებები

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზაციას ახორციელებს გენერალური დირექტორი;

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიების შემუშავების და განხორციელების შესრულება შესაძლებელია აგრეთვე სხვა ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამუშაოების ჩატარების უფლების ლიცენზია, ხელშეკრულების საფუძველზე. **მაიქოინსის** გენერალური დირექტორის ბრძანებით ინიშნებიან პერსონალურ მონაცემებთან მუშაობის პასუხისმგებელი პირები. პირებს, რომლებსაც სამსახურეობრივი მოვალეობების შესასრულებლად სჭირდებათ საინფორმაციო სისტემებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა, ექნებათ შესაბამისი პერსონალური მონაცემების ბაზაში შესვლის უფლება;

32.13.2. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ავტომატიზირებული დამუშავების დროს

32.13.2.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემა

32.13.2.1.1. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა საინფორმაციო სისტემებში მათი დამუშავების დროს ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემის დახმარებით, რომელიც მოიცავს ინფორმაციის საორგანიზაციო ზომებს და დაცვის საშუალებებს (მათ შორის კრიფტოგრაფიულ საშუალებებს, არასანქციონირებული ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების საშუალებებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების ტექნიკურ საშუალებებზე პროგრამულ–ტექნიკური ზემოქმედების საშუალებებს), აგრეთვე საინფორმაციო სისტემაში გამოყენებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს. **მაიქოინსის** საინფორმაციო სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

32.13.2.1.1.1. პერსონალური მონაცემების არასანქციონირებული ხელმისაწვდომობის თავიდან აცილებაზე მიმართული ღონისძიებების ჩატარება და/ან მათი გადაცემა მესამე პირებზე, რომლებსაც არ აქვთ ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;
32.13.2.1.1.2. პერსონალური მონაცემების არასანქციონირებული ხელმისაწვდომობის ფაქტების დროული გამოვლენა;
32.13.2.1.1.3. პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული დამუშავების ტექნიკური საშუალებებზე ზემოქმედების არდაშვება, რომლის შედეგად შესაძლოა მათი ფუნქციონირების დარღვევა;
32.13.2.1.1.4. ისეთი პერსონალური მონაცემების დაუყონებლივი აღდგენის შესაძლებლობა, რომლებიც მოდიფიცირებულია და განადგურებულია მათი არასანქციონირებული ხელმისაწვდომობის დროს;
32.13.2.1.1.5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის დონის უზრუნველყოფის მუდმივი კონტროლი;

32.13.2.2. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალი

32.13.2.2.1. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები საინფორმაციო სისტემებში მათი დამუშავებისას მოიცავს:

32.13.2.2.1.1. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების საშიშროების განსაზღვრას მათი დამუშავებისას;
32.13.2.2.1.2. პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს სავარაუდო საშიშროების ნეიტრალიზაციას საინფორმაციო სისტემების შესაბამისი კლასებისთვის გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა **მაიქოინსისთვის** ხელმისაწვდომი დაცვის მეთოდების და საშუალებების გამოყენებით;
32.13.2.2.1.3. ინფორმაციის დაცვითი საშუალებების გამოყენებისთვის მზადყოფნის შემოწმებას და მათი ექსპლუატაციის დაშვების შესახებ დასკვნის შედგენას;
32.13.2.2.1.4. ინფორმაციის დაცვის საშუალებების დაყენებას და ექსპლუატაციაში შესვლას საექსპლუატაციო და ტექნიკური დოკუმეტაციის შესაბამისად;
32.13.2.2.1.5. ინფორმაციის დაცვის საშუალებებთან მუშაობის წესების სწავლას პირთათვის, რომლებიც სარგებლობენ საინფორმაციო სისტემებში გამოყენებული ინფორმაციის დაცვის საშუალებებით;
32.13.2.2.1.6. ინფორმაციის დაცვის საშუალებების გამოყენებული საშუალებების, მათი საექსპლუატაციო და ტექნიკური დოკუმენტაციის, პერსონალურ მონაცემთა მატარებლების აღრიცხვას;
32.13.2.2.1.7. საინფორმაციო სისტემებში პერსონალურ მონაცემებთან სამუშაოდ დაშვებული პირთა აღრიცხვას;
32.13.2.2.1.8. სექსპლუატაციო და ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული ინფორმაციის დაცვის საშუალებების გამოყენების პირობების დაცვის კონტროლს;
32.13.2.2.1.9. მოსმენებს და დასკვნების შედგენას პერსონალურ მონაცემთა მატარებლების შენახვის, ინფორმაციის დაცვის საშუალებების გამოყენების პირობების დაუცველობის ფაქტებზე, რის შედეგიც შედეგი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დარღვევა და ან სხვა დარღვევა იყოს;
32.13.2.2.1.10. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის აღწერას;

32.13.2.3. ფართები, სადაც ხდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

32.13.2.3.1. საინფორმაციო სისტემების განთავსება, სპეციალური აღჭურვილობა და ფართების დაცვა, სადაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება, ამ ფართებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეჟიმის ორგანიზაცია უნდა უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების მატარებლების და ინფორმაციის დაცვის საშუალებების უსაფრთხოება, და ამ ფართებში უცხო პირთა შესვლის შეუძლებლობა;

32.13.3. **პოლიტიკის** მოთხოვნების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა

პოლიტიკის მოთხოვნების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება პერიოდულად, **მაიქოინსის** მიერ დადგენილ და გონივრულ ვადებში;

კონტროლში შედის ინფორმაციის დაცვის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნის შესრულების შემოწმება, აგრეთვე მიღებული ზომების ეფექტურობის და დასაბუთების შეფასება. ის შეიძლება განხორციელდეს სტრუქტურული ქვეგანყოფილების მიერ, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ან სხვა ორგანიზაციების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებსაც აქვთ ლიცენზიები ტექნიკური დაცვის და ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საქმიანობაზე;

32.13.4. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსება

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება **მაიქოინსის** სახსრებით და გათვალისწინებულია **მაიქოინსის** ბიუჯეტით.

32.14. **პოლიტიკის** მოთხოვნების დარღვევის პაუხისმგებლობა

პოლიტიკის მოთხოვნების დამრღვევი პირები, პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი #1
გადასახდელები და საკომისიოები

პირადი ანგარიშიდან კრიპტოვალუტის გადარიცხვა	**საკომისიო**	**მინიმალური საკომისიო**	**მაქსიმალური საკომისიო**
უცხოურ სერვერებზე არსებულ ნებისმიერ ელექტრონულ მისამართზე	გადარიცხული კრიპტოვალუტის 1.00% (აღნიშნული საკომისიო **კლიენტს** ეჭრება შესაბამის კრიპტოვალუტაში)	5.00 ლარი	